№ 171
პარასკევი, 23 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

№ 171
პარასკევი, 23 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე დიმიტრის ასული, თამარა, ელენე და ქეთო ქაიხოსროს ასულნი ფურცელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი დედის, ხოლო დანარჩენნი დიდი-დედის

ანნა გიორგის ასულის ღვინიაშვილისას

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ბაგრატიონის ქუჩა, საკუთარი სახლი, №17. მიცვალებულის გასვენება შაბათს, 24 სექტემბერს, დილის 9½ საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში.

ткрыта подписка на ежедневную общественно-литературную и политическую газету

„ВОЗРОЖДЕНIЕ“.

1-й № выйдетъ 1-го октября.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	На годъ.	На 6 мѣсяц.	На 3 мѣсяц.	На 1 мѣсяц.
ля городскихъ подписчиковъ съ доставкою.	6 руб.	3 руб.	1 руб. 50 к.	50 коп.
ля иногороднихъ подписчиковъ съ пересылкою	7 руб.	3 руб. 50 к.	1 руб. 75 к.	60 коп.

одписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНIЕ“, Тифлисъ, Головинскій пр., д. бр. Зубаловыхъ (Ко Давидовской ул.).
лата за объявленія: за строку петита впереди текста 10 коп., позади текста—5 коп.
января 1906 года „ВОЗРОЖДЕНIЕ“ будетъ выходить съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ приложені
ъ каррикатурами, при чемъ оба изданія будутъ стоить 10 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою.

Редакторъ *П. А. Готуа.*
Редакторъ-Издатель кн. *П. I. Тумано*

ელექტრონის პროჟექტორი
ნ. ნ. როზეტტის დირექცია
აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ შაბათს, 24 სექტემბერს,
დაიწყება ზამთრის სეზონი
საზღვარ-გარეთიდან მიღებულია ახალი სურათი, რომელიც მთელ ქვეყანას აკვირვებს და ჯერ ტფილისში არავის უჩვენებია.
გთხოვთ ნახოთ და დააფასოთ
300,000 ვერსი **300,000**
„ოზუსით“ (ყუმბარა)
მოგზაურობა მთვარეზე ან მთვარის სამთავროს საკვირველება
სურათის დეკორაციები დაჯდა 60,000 მანეთი. საუცხოვო, დაუჯერებელი გამოგონება
საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდის, წარმოდგენაში 3 განყოფილება არის, 8 საათის შემდეგ წარმოდგენაში ერთი განყოფილება მხოლოდ მოზრდილთათვის,—პარიზის ჟანრის სურათები.
შესვლა 20, 35 და 50 კაპ. ბავშვები, მოსწავლეები და ჯარის კაცები იხდიან ნახევარს.
ოლოვინის პროსპექტი, სახლი თა-დ ჯამბაკურ-ორბელიანისა.
ადმინისტრატორი ნ. ბრავალი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
პარასკევს, 23 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება
ფაუსტი
რა 5 მოქმ. მუსიკა გუნოსი, თარგმ. ამენისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევისა, მილევსკაია, კარპოვისა; ბ-ნები: სლავინი, კვლახიშვილი, ენი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
კაპელმეისტერი ი. ე. ნაპრავნიკი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ანონსი: ხვალ, შაბათს, 24 სექტემბერს, სპექტაკლი ,,გალა''. მონაწილეობას მიიღებს ცნობილი იტალიელი ტენორი ა. გამბა. წარმოდგენილი იქნება ,,გუგენოტები'', ოპერა 4 მოქ., მუს. მეიერბერისა, თარგმ. ამენისა.
ბილეთები იყიდება.

ვირას, 25 სექტემბერს, 1905 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში (სასახლის ქუჩაზე) გაიმართება
სეირნობა
საქველ მოქმედო ბაზრითურთ ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.
ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს მუსიკა.
ბაღში იქნება საბავშო გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სიურპრიზები.
სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში გაიმართება
ცეკვა
ბაღში შესასვლელი ბილეთი დიდებისთვის ჰღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ. (6—2)

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ამით აუწყებს წევრთ, რომ წლიური კრება ამ ამხანაგობისა დანიშნულია 23 სექტემბრისათვის. კრების განსახილველი საგნებია: 1) განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის ანგარიშისა; 2) გათვალისწინება ამხანაგობის დღევანდელი და მომავალი მდგომარეობისა 3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.
უკეთუ ეს პირველი კრება არ შესდგა, მეორე კრება მოხდება 23 ოქტომბრისთვის, დილით, კვირას, დილის ათ საათზედ. ს. კუხში. ეს მეორე კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—1.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხელ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ქ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. მ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აგიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.
ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157
ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.
დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ეკონომიური გაძლიერება და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს დიდი ბაზარი და გასავალი აღარ აქვს ლიბერალურ ფრაზეოლოგიას. იყო დრო, და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია გასული, როცა ცოტად თუ ბევრად ხმამაღლა მწერლობაში ლიბერალიზმს შეეძლო თავის აზრების გამომჟღავნება და სხვა, უფრო რადიკალურ და დემოკრატიულ მიმართულებათ ლეგალური ასპარეზი სრულიად მოსპობილი ჰქონდათ. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცხადად და ყველასთვის შესამჩნევად არ იყო გამოაშკარავებული კლასობრივი წინააღმდეგობა და სოციალური განწყობილება, ლიბერალიზმი დიდ მოდაში იყო და ბევრი ბურჟუა თავის ლიბერალობით კიდეც ამპარტავნობდა, ვინაიდან, ძველის დროიდან გადმოცემულ წყობილების დამცველ ფეოდალ-კონსერვატიულ შეხედულებასთან შედარებით, ლიბერალიზმი უეჭველად პროგრესიული მიმართულებაა. მაგრამ მას შემდეგ ვითარება შეიცვალა,—სოციალ-ეკონომიური განწყობილება, რომელიც მუდამ რეალურ ინტერესებზეა დამყარებული, რომელსაც მრავალფეროვანი, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგი ცხოვრების პირობები აქვს საფუძვლად, დღეს ცხადად და ნათლად სჩანს თავის შინაარსით. აზრების გამომჟღავნების მხრივაც მას შემდეგ შესამჩნევი ცვლილება მოხდა,—წინეთ სასტიკად აკრძალული იდეოლოგია დღეს აღარ იფარება და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ხალხს ეფინება და საზოგადოებაში ვრცელდება და ასეთი გარემოება კი სრულიად ნიადაგს აცლის ლიბერალურ ფრაზეოლოგიას. დღეს არავინ არ კმაყოფილდება ლამაზი სიტყვებით და ყველა იმას აქცევს ყურადღებას, თუ რა ნამდვილი აზრი, რა რეალური შინაარსი არის ჩადებული თითოეულ ლამაზ სიტყვაში.

ჩვენებური ლიბერალები კი ამ ცვლილებას ანგარიშს არ უწევენ და ჰგონიათ, რომ წინანდებურად შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველსა თუ მსმენელზე თავის ზოგად და გაურკვეველ ფრაზებით. ლიბერალმა, მაგალითად, იცის, რომ ეროვნული ბრძოლა კარგი არ არის, ვინაიდან იგი გეშეფტის კაცია და ამიტომ ყოველი ხალხოსნური ბრძოლა და შეტაკება მისი სავაჭრო და სამრეწველო საქმისთვის მავნებელი არის; იმავე დროს კი იგი პრაქტიკულად ისეთ ტაქტიკას ადგია, რომ ეროვნულ უთანხმოებას და შუღლს იწვევს და, მაშასადამე, ჰბადებს იმას, რაც „საქმეებს“ უფუჭებს, და მას აღარ მოსწონს.

ეს სიტყვები გვათქმევინა გაზ. „არშალუისის“ და ძმათა მისთა საყვედურმა, რომელსაც ხშირად აცხადებენ რუსულად და სომხურად დაბეჭდილ ადგილობრივ გაზეთებში. ერთ ამგვარ საყვედურს, რომელიც „არშალუისი“-დან არის ამოღებული, დღეს ჩვენ ვბეჭდავთ „ივერია“-ში. არშალუისი იმდენად გატაცებულია ლიბერალურ ფრაზებით, რომ თითქოს უჭირს შეიგნოს, თუ როგორ შეიძლება რეალურმა ცხოვრებამ წარმოშვას ეროვნულ განხეთქილების მიზეზები, და ამიტომ გვისაყვედურებს იმის გამო, რომ ჩვენ ერთ წინანდელ წერილში გამოვთქვით ერთი ხალხის ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერება და მით გაღვიძებული მადა ეროვნულ განდიდებისა ავითარებს ეროვნულ წინააღმდეგობასა და განხეთქილებასო. ასეთი საანბანო ჭეშმარიტება სომხურმა გაზეთმა თითქო არ იცის. ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ განვუმეორებთ და უფრო დაბიურად ავუხსნით.

ის დრო დიდი ხანია წავიდა, როცა ერთი ხალხის დაპყრობა მეორე ხალხისაგან მხოლოდ საომარ იარაღითა და ფიზიკურ ძალით იყო შესაძლებელი. მოქალაქობრივობის საფუძველზე აგებულმა წესწყობილებამ იცის სხვა საშუალებაც. ეს საშუალებაა მშვიდობიანი,—უსისხლო და უთოფზარბაზნო: ვაჭრობა, მრეწველობა, საერთოდ ალებ-მიცემობა. რამდენადაც ამ გზაზე ერთი ხალხის ბურჟუაზია წინ მიდის, რამდენადაც იგი ქონებასა და ეკონომიურს ძალას იძენს, იმდენადვე იგი იძენს საზოგადოებრივ ძალასაც და იმორჩილებს, თავისაგან დამოკიდებულად ხდის ეკონომიურად სუსტ ერთეულებს. რამდენადაც ერთ რომელსამე ხალხში ვითარდება ბურჟუაზია, რამდენადაც იზრდება ხალხში საწარმოვო ძალა, რამდენადაც უმჯობესდება ტეხნიკა, ხდება ხალხში შრომის საზოგადობრივი ნაწილება, ერთის სიტყვით,—რამდენადაც ერთ რომელსამე ხალხში თანამედროვე ევროპიული წესი წარმოებისა და ნაწარმოებთა განაწილებისა ვითარდება, იმდენადვე წინ მიდის ხალხის ეროვნული კულტურა, იმდენადვე დიდდება, მრავალ-ფეროვანი ხდება მოთხოვნილება, მაღალ დონეზე დგება და მსუყდება მოხმარება, კულტურიანდება მოხმარებითი გემოვნება. და ვინ არ იცის, რომ ასეთ ეკონომიურ წინმსვლელობასთან აუცილებლად შეკავშირებულია გონებრივი კულტურაც,—სწავლა განათლების გავრცელება, მწერლობის გამდიდრება, მეცნიერების გასაზოგადოება, ხელოვნების წარმატება...

ასეთი მდგომარეობა, როცა იგი ერთ ერში არის წარმომდგარი, იწვევს მხოლოდ კლასობრივ ბრძოლას იმათგან, რომელნიც ბურჟუასავით არ უსხედან ეკონომიურ დოვლათის სუფრას. ის ზოგადი კულტურული მოგება, რომელიც შეკავშირებულია ბურჟუაზიულ წყობილების განვითარებასთან, ამ შემთხვევაში თვით იმავე ერში რჩება და მეტ ნაკლებობით ერის ყველა კლასებს ეცხება. სულ სხვაა, როცა რამდენიმე ხალხი ერთადაა არეული და საეკონომიო ასპარეზზე კი უმთავრესად ერთის რომელისამე ხალხის მოქალაქეთა კლასი ბატონდება: ამ შემთხვევაში კლასობრივ განხეთქილებას ზედ ერთვის ეროვნული განხეთქილებაც. რამდენადაც ეკონომიურ განვითარებასთან შეკავშირებულია ეროვნული განვითარება და ეს უკანასკნელი შედეგია პირველისა, იმდენადვე საეკონომიო სარბიელზე რომელისამე ხალხის ჩამორჩენა დამაბრკოლებელია მისი ხალხოსნურ განვითარებისა და წარმატებისა. ალებ-მიცემობის საშუალებით შესაძლებელია, რომ მიწა-წყალი, ტერიტორია ერთის ერისა სხვა ხალხის ხელში გადავიდეს, რომ ქონების მობილიზაციის მეოხებით, კრედიტის საშუალებით ერთი ერი სრულიად დამოკიდებული შეიქმნეს სხვისაგან. ცხადია, რამდენადაც ამგვარ პირობებში ერთი ერი ბრკოლდება ეროვნულ განვითარებაში, იმდენადვე ხსენებული ეკონომიური დაბრკოლება ეროვნულადაც ჩასათვლელი არის და ამიტომ იგი ეროვნულ წინააღმდეგობასაც გამოიწვევს.

ეს არის, ასე ვთქვათ, ობიექტიური მხარე ბურჟუაზიულ წყობილების განვითარებისა. მაგრამ მას ახლავს მეორე—სუბიექტიური—მხარეც. რამდენადაც ბურჟუაზია ძლიერდება და მოქალაქობრივობა იზრდება, იმდენადვე ბურჟუაზიულ ელემენტებს მადა ეხსნებათ და გაფართოვების, განდიდების სურვილი უძლიერდებათ. მაშინ ჩნდება მთელი ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელიც სამშობლოს გადიდებაზე ფიქრობს, ტერიტორიის გაფართოებას ეტრფის, შესაფერად დასახლების მოწყობას ცდილობს. ითხზვება ახალი გეოგრაფიული კარტები, ამა თუ იმ ეკონომიურად სუსტ ერის სამშობლოს ეკარგება იმ ინტელიგენციის ნაწერებში ისტორიული სახელი, სდგება ახალი პროექტები სხვადასხვა ადგილების დასახლებისა თვისიანებით, იმართება მხოლოდ თავის ეროვნებისთვის სასარგებლო პროპაგანდა შინ და გარედ, ერთის სიტყვით, ჭამასთან მადაც მოდის! ყველა ამ გვარ მისწრაფებათა მქონენი თავიანთ თავს უდიდეს კულტურტრეგერებად სთვლიან, სხვებს ცხვირის აწევით იხსენიებენ და ხშირად ბარბაროსებსაც უწოდებენ. ყოველ დარგში, ყოველ დაწესებულებაში, სადაც კი ამ ბურჟუაზიას ძალა და გავლენა აქვს, თვისიანებს უხსნის გზას და ამ გვარად იმ განხეთქილებას, რომელიც ობიექტიურად არის ცხოვრებაში, თავის სურვილითა და ნებითაც ადიდებს და ამწვავებს.

,,არშალუისი'' ამ გვარ მორიდებულ ლაპარაკს, უეჭველია, ,,ცილისწამებაში'' ჩამოგვართმევს და განსაზღვრულ ფაქტებისა და მოვლენების აღნიშვნას მოგვთხოვს. ეს ჩვეულებრივი ტაქტიკაა ამ ჯურის გაზეთებისა.

ჩვენც აღვნიშნავთ... მხოლოდ ჩვენი ბრალი კი ნუ იქნება, თუ ჩამოთვლილი ფაქტები ესიამოვნეთო...

ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრება მოსკოვში.

წერილი მოსკოვიდან.

14 სექტემბერს კრება შეუდგა კამათს ავტონომიისა და ფედერაციის შესახებ. როგორც წინა წერილში მქონდა ნათქვამი, კრებამ უკვე მიიღო ის ნაწილი პროგრამისა, რომელიც აღიარებდა ნაციონალურ უფლებებს და მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციას. ახლა კრებამ განიხილა პროექტი კანონმდებლობის დეცენტრალიზაციისა.

პირველი სიტყვა ამ საგნის შესახებ წარმოსთქვა ნოვგოროდის წარმომადგენელმა კოლიუბაკინმა. ორატორის აზრით, შიში იმის შესახებ, რომ ადგილობრივ თვითმართველობას სახელმწიფოს დაყოფა მოჰყვებაო, უსაფუძვლოა. ამ უსაფუძვლობას მაგალითები ამტკიცებენ. გერმანია ფედერატიული სახელმწიფოა, მაგრამ სეპარატიული მისწრაფება არც ერთ ავტონომიურ პროვინციაში არ არსებობს. პოლონეთმა რომ ავტონომია მიიღოს, თავის დღეში რუსეთისაგან განცალკევებას არ მოიწადინებს. ინგლისის პროვინციებს ავტონომია აქვთ მინიჭებული, მაგრამ არამც თუ განცალკევებაზე არა ფიქრობენ, არამედ ისე უყვართ ინგლისი, რომ, ბურებთან ომის დროს, თვითონვე უნდოდათ ჯარის გაგზავნა ინგლისის სახელის აღსადგენად. ან რათ მოინდომებს ერი განცალკევებას იმ სახელმწიფოსაგან, რომელმაც იგი გააბედნიერაო? დასასრულ, კოლიუბაკინმა სთქვა, რომ თუ ჩვენ ვაღიარეთ პიროვნების თავისუფლება, არ უნდა ვუღალატოთ ლოღიკას და უნდა ვაღიაროთ ნაციონალური ავტონომიასაცაო.

მეორე ორატორმა აღნიშნა, რომ რუსეთი ისე უკან ჩამორჩა მთელი ქვეყანას, რომ საჭიროა სწრაფი მუშაობა; ამიტომ ის აზრი, რომ ავტონომიაზე ლაპარაკი ადრეულიაო, ყურადღების ღირსი არ არის. ცენტრალიზმმა დაჰბადა სეპარატიზმიო და, თუ ჩვენ სეპარატიზმისა გვეშინია, უნდა მოვსპოთ მისი მშობელი—ცენტრალიზმი. მაშინ არავინ არ იფიქრებს სეპარატიზმზე, რადგან ჩვენ განახლებულ სახელმწიფოში ყველას მინიჭებული ექმნება სრული თავისუფლება.

ამის შემდეგ ილაპარაკა მაქსიმ კოვალევსკიმ. მისი აზრით პოლონეთმა და მალოროსიამ ისეთივე უფლება უნდა მიიღოს, როგორი უფლებაც ფინლადიასა აქვს. რუსეთის გუბერნიებისთვის საჭიროა ვრცელი თვით-მართველობა, მაგრამ არიან ისეთი განაპირა ქვეყნებიც, რომელთაც ისეთი ისტორია აქვთ, რომ საჭიროა ავტონომია მიეცესო.

ავტონომიის წინააღმდეგ ვრცლად ილაპარაკა მოსკოვის წარმომადგენელმა გუჩკოვმა. ის პარტია, რომელიც ფედერაციას აღიარებს, თვითვე დამარხავს თავის თავს, თუ თავის ნამდვილ მიზანს ხალხის წინაშე არ დამალავს. თუ თავის თავს თვითონ არ დაარქმევენ „ფედერალისტებს'', მაშინ მათი მოწინააღმდეგენი უწოდებენ მათ ამ სახელს. ის თავგასულობა და უკანონობა, რომელიც სულს გვიხუთავდა ჩვენც და განაპირა მხარეებსაც, უნდა მოსპობილ იქმნას და მაშინ ყველა თავისუფლად ამოისუნთქებს; განაპირა მხარეები მიიღებენ თვით-მართველობას, მაგრამ არა მეტს—არა ავტონომიასაო.

პროფესორმა ვერნადსკიმ გუჩკოვის სიყალბე მშვენივრად გამოარკვია მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვაში: „თუ ნაციონალურ კითხვის გამორკვევას დააგვიანებთ, მაშინ იცოდეთ, რომ ცხოვრება თვით წამოაყენებს ამ კითხვას. რუსეთისთვის საჭიროა დემოკრატიული წესწყობილება, ამას აღიარებს ყოველი აქ მყოფი დეპუტატი; მაგრამ ნუთუ ვისმე ეჭვი აქვს, რომ ასეთ უზარ-მაზარ და ცენტრალისტურ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, შესაძლებელია ერთად მოთავსდეს დემოკრატიზმი და ცენტრალიზმი. ჯერ უნდა დეცენტრალიზაციის პრინციპი დავამყაროთ და მხოლოდ მაშინ შეიძლება დემოკრატიულ წესწყობილების შემოღება. თუ პროვინციები ავტონომიას არ მიიღებენ, მაშინ შეუძლებელია სერიოზულ და საერთო სახელმწიფო ინტერესების დაცვა, რადგანაც პროვინციები ცენტრალურ მართვა-გამგეობით კმაყოფილნი არ იქმნებიან და ხარს არ დაგვიჭერენ. პროვინციათა ავტონომიოდ ვერც ერთ კითხვას რიგიანად ვერ გადავწყვეტავთ. ბ-ნი გუჩკოვი ამბობს, რომ ჩვენი მიზანი არის რუსეთის სიძლიერე; დიახ, ვამბობ მე, მართალია; მაგრამ რუსეთის სიძლიერესთვის ცენტრალიზაცია კი არ არის საჭირო, როგორც გუჩკოვს ჰგონია, არამედ ფედერაცია ავტონომიურ მხარეებისა“.

პროფესორი კოტლიარევსკი მხარს უჭერს ვერნადსკის და ამბობს, რომ, თუ ჩვენ მივიღეთ მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის პრინციპი, უნდა აქედან გამოვიყვანოთ ლოღიკური დასკვნა და ფედერაციაც ვიწამოთო.

პროფესორი ლუჩიცკი მხურვალედ იცავს ფედერაციის პრინციპს; ცენტრალიზაცია მისი აზრით ჰბადებს ფინანსების არა თანასწორ დანაწილებას. პროვინციები გაიყვლიფებიან პეტერბურგის გულისთვისაო.

როდიჩევი წინადადებას იძლევა, პირველად პოლონეთის საკითხი განვიხილოთ და მის შესახებ ახლავე რეზოლიუცია მივიღოთო. შემდეგ პრინციპიალურად გავარჩიოთ კითხვა საქართველოს ავტონომიის შესახებ, დანარჩენ განაპირა მხარეზე კი ბიუროს მივანდოთ კითხვის გარჩევა, რომ მან შემდეგის კრებისათვის შეიმუშაოს ყოველ მხრივ ეს სერიოზული კითხვა.

პოლტავის წარმომადგენელმა დასცინა იმ პირებს, რომელნიც ამბობენ, რომ რუსეთის ერისთვის ჯერ გამორკვეული არ არის ფედერაციის და ავტონომიის სურვილი, რომ რუსები ვერ შეითვისებენ ამ პრინციპებს. „ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მას, რას იტყვიან ჩვენი ამომრჩევლები. ამისი რომ გვეშინოდეს, მაშინ ხომ ვეღარაფერს მოვითხოვთ? ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, სასარგებლო და საჭიროა თუ არა ესა თუ ის მოთხოვნილება? შეიძლება თქვენთვის, ვინც ცენტრში ცხოვრობთ, საშიში იყოს პრინ-

ციპი ავტონომიისა, მაგრამ იცოდეთ, რომ განაპირა ქვეყნებში ეს პრინციპი ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი“.

იზმაილოვი ამტკიცებდა, რომ კრებამ თავისი აზრი ავტონომიის შესახებ პრაქტიკულ მოსაზრებით კი არ უნდა გამოარკვიოს, არამედ სიმართლის გულისთვის, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს რუსეთის თავისუფალ სახელმწიფოდ გარდავაქციოთ, მაშ რაღად უნდა გვეშინოდეს ავტონომიისა? თუნდა ჩვენ უარვყოთ ავტონომიის პრინციპი, იგი ღრმად დარჩება ფინლანდიელებისა, პოლონელებისა და კავკასიელების გულში. ჩვენ გუშინ ვაღიარეთ აქ ადამიანის და მოქალაქის უფლებანი და ნუ თუ დღეს ამ უფლებებს არ ვაღიარებთ ერებისთვის? ეს ხომ სასაცილო წინააღმდეგობა იქნებოდა?

ბ-ნმა იაკუშკინმა სთქვა, რომ შეცდარია ის აზრი რომ ფედერაციის პრინციპი რუსის ერისთვის ვითომ ახალი რაღაც იყოს, სრულიადაც რა—რუსის მოწინავე საზოგადოება ყოველთვის ამოაყენებდა ხოლმე ამ პრინციპს; იგი წამოაყენეს, მაგალითად, დეკაბრისტებმა.

პეტერბურგის დეპუტატის ოპელის აზრი. ავტონომია ერისთვის ისეთსავე საჭიროებას წარმოადგენს, როგორც ადამიანისათვის—ჰაერი, ანუ თევზისთვის წყალი. მაგრამ ახლა ამ კითხვის გარდაწყვეტა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ პრინციპიალურად უნდა გადავწყვიტოთ იგი. როდესაც ჩვენ მოვიპოვებთ სრულს თავისუფლებას, როდესაც ცრუ კონსტიტუციას ნამდვილ კონსტიტუციად გარდავაქცევთ, მაშინ არამც თუ განვიხილავთ ამ კითხვებს, არამედ ცხოვრებაშიაც გავიყვანთ.

ამის შემდეგ ილაპარაკა მაქსიმ კოვალევსკიმ: თანასწორობა ყველა ერობისა და ადგილობრივი თვით მმართველობა სახელმწიფომ ყველა ქვეყნებისათვის უნდა აღიაროს. მაგრამ არიან ერები, რომელთაც რუსეთი ავტონომიას დაჰპირდა, ასეთ ერებს უთუოდ უნდა მიეცეთ ავტონომია. ასეთი ერები არიან პოლონელები და მოლოროსები!

ქუთაისის წარმომადგენელმა ლორთქიფანიძემ ვერ მოითმინა და წამოიძახა: საქართველო რაღად დაგავიწყდათ, მისი ხელ-შეკრულება რუსეთთან, რომელიც არ შეასრულეთო. ამაზედ მაქსიმ კოვალევსკიმ სთქვა: „ჰო, ავტონომია უნდა მიეცეს აგრეთვე საქართველოსაცაო“.

დასასრულ ილაპარაკა კოკოშკინმა, რომელმაც შეიტანა პროექტი ნაციონალურ პროგრამისა. მან აღნიშნა, რომ ფედერაციას სრულებითაც არ მოსდევს სახელმწიფოს დასუსტება; ამერიკა, ინგლისი და გერმანია ფედერატიული სახელმწიფოები არიან, მაგრამ მთელ დედამიწის ზურგზე უძლიერესნი არიანო. ტყუილად ნუ გვატყუილებენ, რომ ფედერაცია რუსეთის ხალხს არა ჰსურს. სპერანსკის პროექტი და დეკაბრისტები, საერთოდ მოღვაწენი XIX საუკუნისა, ყველანი ფედერაციის მომხრენი იყვნენ. ნუ თუ პოლიციისა და ბიუროკრატიის გამეფებამ ისე ჩაგვიკლა ჩვენში თავისუფალი აზრი და მისწრაფება, რომ ჩვენ არ ვეცდებით ცხოვრებაში გავიყვანოთ ის, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში ქადაგებდნენ საუკეთესო რუსები?

ამით დასრულდა კამათი საერთოდ ფედერაციის შესახებ და შემდეგ შეუდგნენ კერძოდ პოლონელთა საკითხის გარჩევას. პოლონეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა ვრუბლევსკიმ აღნიშნა, რომ მთელი პოლონეთის ერის სურვილია ავტონომიის მოპოვება, ამას ყველაზე ნათლად ამტკიცებს „ჯვაროსნული გალაშქრება“ ჩვენის ბავშვებისა პოლიცის წინააღმდეგ. რადიკალები და ზომიერები ერთხმად თხოულობენ ავტონომიას. ძირითადი პრინციპი ყოველის მორალისა არის, რომ „რაც შენთვის გინდა, სხვისთვისაც ნუ დაიშურებო“. თუ თქვენ, რუსებს, გსურთ რუსეთი დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნათ, თუ თქვენ თქვენთვის თავისუფლება გინდათ, მაშ ჩვენც მოგვეცით იგი. აი, ამიტომ ჩვენ გულდამშვიდებით ველით კრების რეზოლუციას.

პოლონელის შემდეგ ბ-ნმა როდიჩევმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. ეს განახლებული რუსეთის პირველი სიტყვა უნდა იყოს—განთავისუფლება იმ ერებისა, რომელთაც იგი სჩაგრავდა. ჩვენ ამნაირად გავიწმინდებით იმ ცოდვებისაგან, რომელნიც მიგვიძღვის სხვადასხვა ერის წინაშე. ჩვენ უნდა ისეთი წესწყობილება დავამყაროთ ჩვენს ქვეყანაში, რომ რუსის პოლონელი რუსეთის პატრიოტად გარდაიქცეს, რომ იგი ამაყობდეს იმით, რომ რუსეთის მოქალაქეა. აქამდის რასაკვირველია იგი ამით ვერ იამაყებდა, რადგანაც ჩვენ თვითონ გვრცხვენოდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომები ვართ. რასაკვირველია სლავიანური წყაროები აქამდე არ შეუერთდებოდნენ დესპოტიზმის გაყინულ ტბას. თუ ჩვენ რუსეთის დაღუპვა არ გვინდა, უნდა მივანიჭოთ თავისუფლება და ავტონომია ყველა ეროვნებას.

პოლონეთის შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ პოლონეთი მომეტებულ ნაწილად როგორც ნაციონალურის, ისე კულტურულის მხრით სრულიად ერთგვარია, კრებამ აღიარა დაუყონებლივი საჭიროება პოლონეთის ავტონომიისა, თვისის სეიმით. ეს სეიმი უნდა ამორჩეულ იყოს თანასწორის, პირდაპირის და ფარულ კენჭის ყრით, სახელმწიფო მთლიანობა კი უთუოდ უნდა დაცულ იყოს.

უნდა გასწორდეს საზღვრები პოლონეთსა და მეზობელ გუბერნიათა შორის. ამასთანავე უნდა მხედველობაში მიღებულ იქმნას ადგილობრივ მცხოვრებლების ვინაობა და მათი სურვილები. პოლონეთში უნდა მოქმედებდეს საერთო-იმპერიული გარანტია მოქალაქობრივის თავისუფლებისა და კულტურულ თვით-გამორკვევისა. ამასთანავე უზრუნველყოფილი იყოს უმცირესობის უფლებანიც“

საერთოდ, მთელ რუსეთის ეროვნების ავტონომიის შესახებ ბიურომ პროექტი წარადგინა, მაგრამ, რადგანაც კრებამ მხოლოდ პრინციპიალურ რეზოლუციის შედგენა მოინდომა, ამიტომ ბიუროს პროექტი მთლიანად არ მიიღო.

ამ პროექტიდა მათ ამოიღეს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეხება პრინციპიალურ მხარეს:

კრებამ, დაადგინა: როდესაც დამყარდება ნამდვილი მოქალაქობრივი თავისუფლება, ნორმალური, ესე იგი, კონსტიტუციონალურ უფლებით აღჭურვილი, ხალხის წამომადგენლობა, უეჭველად უნდა იყოს შემოღებული ადგილობრივი ავტონომია.

დანარჩენი მუხლები პროექტისა, რომელსაც შემდეგ შევატყობინებთ, კრებამ არ განიხილა.

ქართველობისგან რომ კარგი ორატორი ყოფილიყო, ეჭვი არ არის, საქართველოს კითხვასაც ისევე წინ წამოაყენებდნენ, როგორც პოლონურს. მაგრამ ისიც სასიხარულოა, რომ საქართველოსთვისაც პრინციპიალურად ავტონომია აღიარეს. ამ კრების წევრთა მომეტებული ნაწილი უეჭველია სახელმწიფო საბჭოში იქნება არჩეული და, როდესაც ამ საჭოს დამფუძნებელ კრებად გარდააქცევენ (ეს მტკიცედ აქვთ გარდაწყვეტილი), მაშინ ამ პრინციპს, რომელიც აქ აღიარეს, ცხოვრებაში გაიყვანენ.

ამ კრებაზე არც ერთი პარტიის წამოადგენელი არ არის, მთელი რუსეთის ხალხისგან ამორჩეული, დეპუტატები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ავტონომია ყოველ ერისთვის აუცილებელი საჭიროება არის. მით უმეტეს უნდა უხაროდეთ დაჩაგრულ ერებს, რომ ამას აღიარებს მოწინავე და რადიკალური პარტია კი არა, არამედ ხალხის ზომიერი წარმომადგენლები. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ ავტონომიის პრინციპი ცხოვრებაშიაც დამყარდება და ცენტრალიზმისაგან სულ-შეხუთული ერები თავისუფლად ამოისუნთქავენ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 სექტემბერი.

დონის როსტოვი, 21 სექტემბერი. ეკატერინოდარის საფოსტო კანტორიდან ვიღაცას 253 ათასი მანათი წაუღია.

ტოკიო, 21 სექტემბერი. საიდუმლო საბჭომ დღეს საზავო ხელშეკრულება მოიწონა.

ვენა, 21 სექტემბერი. სტამბოლში მყოფმა, ავსტრიის ელჩმა გუშინ დიდ ვეზირს წარუდგინა პროექტი ამის გამო, რომ სულთანმა მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღებაზე მეორეთ უარი განაცხადა. ელჩმა აუწყა პორტას, რომ მან ამ საკითხის შესახებ უსათუოდ უნდა დაუთმოს. მმართველ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ სულთანი ამ რეფორმებს უსათუოდ მიიღებსო.

რიგა, 21 სექტემბერი. „რიჟსკი ვესტნიკი“ იუწყება, რომ ადმინისტრატიულ წრეებში ბალტიის ზღვის მახლობელ გუბერნიებში საგენერალ-გუბერნატორების აღდგენის საკითხს იხილავენო.

პეტერბურგი. 21 სექტემბერი. „მარინე რუნდშაუს“ ნომერში დაბეჭდება წერილი ბელვერისა, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის ფინანსიურ მხარეს განიხილავს. ის აღნიშნავს, რომ იაპონიის რენტის აწევას რუსეთის შინაურმა არეულობამ ძალიან ხელი შეუწყოო. რუსეთის დღევანდელი შინაური მდგომარეობა რუსეთის ფინანსების მომავალზე უფრო ცუდად მოქმედობს, ვიდრე ომი, რომელმაც თუმცა მრეწველობის ზოგიერთა დარგს დიდი ვნება მოუტანა, მაგრამ ქვეყნის საერთო ეკონომიურს მდგომარეობაზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონიაო. ამას ძალიან ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ 1904 წელს კარგი მოსავალი იყოო. სამაგიეროთ, კავკასიის არეულობამ მცხოვრებლებზე უფრო მწვავე გავლენა იქონია, რადგანაც მოსავალი არ იყო კარგიო. რუსეთის ფინანსთა მომავალი კეთილდღეობა მოითხოვს, რომ რუსეთში წესიერება და მშვიდობიანობა იქმნას აღდგენილი იმ საფუძველზე, რომელიც ეკონომიურს განვითარებას ხელს შეუწყობსო. აუცილებლად უნდა მოხდეს ეკონომიური, სახელმწიფო, აგრარული რეფორმებიო.

მოსკოვი, 20 სექტემბერი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ მოსკოვს სახელმწიფო სათათბიროში ხუთი წარმომადგენელის გაგზავნის უფლება მიენიჭოს.—გადაწყვეტილია, გამოიცეს სავალდებულო დადგენილება იმის შესახებ, რომ კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა თორმეტის საათიდან პირველის ნახევრამდე იყოს ხოლმე.—საქალაქო მაღაზიის შესახებ წარდგენილ მოხსენების განხილვის დროს, ხმოსნებს შჩეპკინსა და შმაკოვს უთანხმოება მოუვიდათ. უკანასკნელმა შჩეპკინის წინადადებას საარჩევნო მანევრი უწოდა და სიტყვის უკან წაღება არ მოისურვა, ხმოსნები დარბაზიდან გავიდნენ და განაცხადეს, რომ მათ არა სურთ შმაკოვის ლაპარაკს ყური დაუგდონ. ქალაქის მოურავმა სხდომა დახურა.

პეტერბურგი, 21 სექტემბერი. გუშინ, გრაფ ვიტტეს თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა მინისტრთა კომიტეტისა, რომელმაც გადასწყვიტა, რომ, რუსულ ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის გარდა, ყველა საგნები პოლონურს და გერმანულ ენაზედაც შეიძლება ისწავლებოდეს.—ომიდან ექიმები უკან ბრუნდებიან.—შუამდგომლობას უნივერსიტეტში ებრაელების მიღების შესახებ მხოლოდ მიმდინარე წელს დააკმაყოფილებენ.—სენატმა გადასწყვიტა, რომ წიგნების გასაიაფებლად, წიგნის მაღაზიების გახსნა ერობის მოვალეობას არ შეადგენსო.

პარიზი, 21 სექტემბერი. გერმანიის კანცლერმა, პარიზის გაზეთების სიტყვით, განაცხადა, რომ მაროკკოს საქმეში ჩარევით გერმანიას მხოლოდ თავის ნაციონალურ ინტერესების დაცვა უნდოდაო. კანცლერის სიტყვით, გერმანიას არაფერი საწინააღმდეგო არ ექმნება, კონფერენციის სხდომები ალჟეზირასში რომ მოხდეს. ბიულოვმა განაცხადა, რუვიეს წყალობით, საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის შესახებ გონიერ გზას დაადგა, და იმედი გამოსთქვა, რომ ახლანდელი უთანხმოება საფრანგეთისა და გერმანიის შორის კეთილ-განწყობილების განმტკიცებას ხელს შეუწყობსო. რუსეთისა და გერმანიის დაახლოვებამ საფრანგეთი არ უნდა შეაშინოს, როგორც საფრანგეთისა და იტალიის დამეგობრებამ გერმანია არ შეაშინაო.

პეტერბურგი, 21 სექტემბერი. გუშინ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში 1055 სტუდენტი იყო. ხმას დიდის უმეტესობით გადასწყვიტეს, სწავლა განაახლონ.

ჩიტა, 21 სექტემბერი. შავი ჭირის შესახებ ახალი ცნობები არ მოსულა.

პეტერბურგი, 21 სექტემბერი. 6 ოქტომბერს ახალის გზების გასაყვანად დანიშნული კომისია განიხილავს წინადადებას იმის შესახებ, რომ სრეტენსკსა და ხაბაროვსკს შუა რკინის გზა უნდა იქმნას გაყვანილი.

პსკოვი, 21 სექტემბერი. გენერალმა კუროპატკინმა გუნჯულინიდან, ხოლმსკის მაზრაში პირველ-დაწყებითი სკოლების დასაარსებლად, გუბერნატორს ტელეგრაფით 15 ათასი მანათი გაუგზავნა.

ტოკიო, 21 სექტემბერი. სასებოს, ნაგასაკს, ცუსიმას და სკოდატოში სამხედრო წესები მოი

ლონდონი, 21 სექტემბერი. ინდოეთის ად ლობრივ მცხოვრებლებს ინგლის-იაპონიის ხელ რულებისგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ველიკობ ტანიას ინდოეთის დაცვა საკუთარის ძალებით ვე შეუძლიანო.

ადგილობრივი პრესა მწუხარებით აღნიშნავს გარემოებას, რომ ხელშეკრულებაში სამხედრო ხ ჯების შემცირებაზე არაფერია ნათქვამიო.

ბერლინი, 21 სექტემბერი. ოფიციალურის ცნ ბებით, 21 სექტემბრამდე ხოლერით სულ 261 გ ხდარა ავად; ამათგან 89 გარდ[illegible]ვლილა. ყველა სა ლექტრონო სადგურებზე მუშა[illegible] განახლდა.

ბაქო, 21 სექტემბერი. მ[illegible]ედავად გარნიზონის გაძლიერებისა, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა თითქმის ყოველ დღე ხდება, მშვიდობიანობის და ზავის სიმტკიცე არავის სწამს. მცხოვრებლები პატრულებით დადიან. ბევრი მაღაზიები დაკეტილია.—საერ ბო რჩევაში ლენქორანიდან, განსაკუთრებით, თათრის ბეგები ამოარჩიეს. ამათგან ცხრა ბეგი ერობის სულ წინააღმდეგნი გახდნენ და მიზეზად ის დაასახელეს, რომ შეძლება და მცოდნე პირები არა გვყავსო. მცხოვრებლები იმასაც კი არ ეცადნენ, რომ წარმომადგენ ლები ამოერჩიათ. გოკჩაიში რჩევაში მხოლოდ სომეხი ამოარჩიეს. წამოყენებული იქმნა მოთხოვნ ლება, რომ საარჩევნო უფლება ყველა მცხოვრებ მიენიჭოთ და პოლიცია ხაზინამ შეინახოსო.

პეტერბურგი, 21 სექტემბერი. დღეს გრ სოლსკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კერძო სხდ მა ჰქონდა. სხდომაში ვიტტეც იღებდა მონაწილე ბას.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

საფრანგეთი. „ფიგაროში“ დაბეჭდილია ე ლონგველ ფაბრიკანტის საინტერესო წერი როგორც ვიცით, ამას წინად ლონგვში გა ცულ მუშესა და ჯარს შეტაკება მოუხდათ. ტაკების გამოსარკვევად და მუშების დასამ დებლად ლონგვში სამხედრო მინისტრი ბერ მივიდა. ფაბრიკანტი მანი ტას ბერტოს უსაყ დურებს, თქვენ ისე იქცევით, რომ გაფიცულებ უფრო აქეზებთ და სარევოლიუციოდ იწვევთო. მეფაბრიკე სწერს: საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ლონგვში წითელ დროშის წინ დახარა და ქუდ მოხდილი „ინტერნაციონალ“-ის სიმღერას ყურს უგდებდაო. ლონგვში მომ გაზაფხულს მოსალოდნელია მუშათა საერთო გაფიცვა, რაიც ძირს გამოუთხრის ადგილობრივ მრეწველობას. ამის შესახებ მინისტრმა ბერტომ უთხრა გაზეთების თანამშრომლებს: მე ვ ვეცი რკინის გზის მუშათა კავშირის წი დროშას და ვამაყობ კიდეც, რომ მუშები ასე ნდობით მომექცნენ. გაფიცულნი ასეთივე მო ლაქენი არიან, როგორც სხვები და ამიტომ დის სიამოვნებით მივიღე და მოვისმინე მათი წა მოდგენილნი.

—ამ დღეებში ასწერეს განსვენებულ რო შილდის მიერ დატოვებული ქონება. ფასი ქონებისა უდრის 940 მილიონ ფრანკს. ხ ზინამ 21 მილიონი ფრანკი მიიღო მემკვიდრე ბის გარდასახადი.

ფელეტონი

გლეხთა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში. *)

გლეხთა აჯანყება პირველად მესამე საუკუნის დამლევს მოხდა გალლიაში. მეტის-მეტად გაჭირვებულმა გლეხობამ პოლიტიკურ არეულობით ისარგებლა, ქრისტიან მქადაგებლებს აჰყვა და აჯანყდნენ. ისტორიაში ეს აჯანყება ბაგაუდების აჯანყებად არის ცნობილი. ჯერ ცეცხლმა აქაიქ იფეთქა და რამდენსამე მემამულესა და დაბას მოედო, მაგრამ შემდეგ, როცა ამ მოძრაობას სათავეში ნიჭიერი ბელადები—ამანდი და ელიანი—ჩაუდგნენ, გლეხები შეკავშირდნენ, დედაქალაქი გაიჩინეს და აჯანყების საქმე წესიერად წაიყვანეს. ბაგაუდებმა იმდენად ძლიერი რაზმი შეადგინეს, რომ რამდენიმე დიდი ქალაქიც კი აიღეს, მაგრამ 285 წელს იმპერატორმა მაქსიმილიანემ სძლია და აჯანყებულნი სასტიკად დასაჯა.

მაგრამ ბაგაუდთა მოძრაობა ამით არ გათავებულა. 406 წელს ბაგაუდებმა ხელმეორედ ისარგებლეს პოლიტიკურ არეულობით, ხელმეორედ აჯანყდნენ და ისეთი გაელენა და ძალა მოიპოვეს, რომ გერმანიისა და რომის ჯარებს ძალიან გაუჭირეს საქმე. საქმე თანდათან მწვავდებოდა და ბოლოს, 430 წელს, აჯანყება ტიბატოს მეთაურობით მთელ გალლიას მოედო. მაგრამ სწორედ ამ დროს გალლიას გუნნები დაესხნენ თავს და საქმეც შეიცვალა: ბაგაუდებმა სამღვდელოებას დაუჯერეს და თავისი მახვილი ქრისტიანობის დასაცველად აღმართეს. სანამ აეცია მოვიდოდა თავის ჯარით, ბაგაუდები კარგად უმკლავდებოდნენ ატტილას, მაგრამ აეციამ, მადლობის მაგივრად, თვითონ ბაგაუდებსვე დაუწყო დევნა.

მეროვინგებისა და კაროლინგების ეპოქაში გლეხთა მოძრაობა თანდათან მისუსტდა და, კარლოს დიდის დროს, დიდი ხნით შესწყდა. იშვიათად ისმის გლეხთა მოძრაობის ამბავი აგრეთვე ფეოდალიზმის გაფურჩქვნის დროსაც, თუმცა მათმა გაჭირებამ სწორედ ამ დროს მიაღწია უმაღლეს წერტილს. 1035 წელს, ფლანდრიაში სიმშილით შეწუხებული გლეხობა ფეოდალების ციხე-დარბაზებს სძარცავდა და სწვავდა. 1145 წელს დამშეულმა გლეხობამ ველარ მოითმინა და ფულდას მდიდარი მონასტერი აიკლო. ამ ხანებში მხოლოდ ასეთ წვრილ ამბებით გამოიხატება გლეხთა მოძრაობა. გლეხები სიმშილით იხოცებოდნენ, კაცის ხორცს სანთლით დაეძებდნენ და ხშირად მიყრუებულ ადგილას კაცს ჰკლავდნენ და იმის გვამს ინაწილებდნენ, მაგრამ საერო აჯანყება აზრადაც არ მოსვლიათ. საუკუნოებით დამონებას ჩვეული გლეხი გულგრილობას იჩენს და მონობის უღლის დამსხვრევას სულაც არ ფიქრობს.

მე-XII საუკუნიდან ეკონომიურმა განვითარებამ მიწას პირვანდელი მნიშვნელობა ჩამოართვა და გლეხთა მდგომარეობა გააუმჯობესა. ვაჭრობა გავრცელდა, ფული ხმარებაში შემოვიდა, ბატონყმობის მუხრუჭი მოეშვა. ქალაქების რიცხვმა იმატა და ამასთან ერთად ყმების რიცხვმაც იკლო. ამავე, დროს გლეხობამ თანდათან შეგნებულად დაუწყო ცქერა თავის საჭიროებას და მიხვდა, რომ მათსა და ფეოდალებს შორის ინტერესთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა არსებობდა. ამრიგად ინტერესთა წინააღმდეგობა ხშირად იძლეოდა გლეხებისა და ბატონების შეტაკების სურათს და, თუ ამ დროს, შესაფერი აგიტაციაც უსწრობდა, ეს შეტაკება თითქმის ყოველთვის გლეხთა აჯანყებით თავდებოდა.

საშუალო საუკუნოებში აგიტაცია თითქმის ყოველთვის სარწმუნოებრივ ნიადაგზე იყო დამყარებული; გლეხებიც სახარებაში ეძებდნენ თავის გამართლებას და ქრისტეს მოძღვრებას თავისებურად ხსნიდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მე-XVIII საუკუნემდის გლეხთა აჯანყება სამღვთო წერილიდან ამოღებულ კომუნისტურ იდეებით არის განათებული.

ფეოდალიზმის დანგრევას ყველაზე წინ იტალია შეუდგა. ყველაზე დიდი და პირველი აჯანყება მოხდა იტალიაში 1303 წელს. ამ აჯანყებას ისტორიაში დოლჩინო ჰქვიან. ფრა დოლჩინო ჩრდილო-იტალიელი ბერი იყო. დიდის ნიჭით აღჭურვილმა და უსაზღვრო კაცთმოყვარე დოლჩინომ დიდებული გეგმა შეადგინა საზოგადოებისა და ეკლესიის განახლებისა. მისგან შემუშავებულმა საკუთრების განახლების სისტემამ გლეხობა მიიზიდა. დოლჩინო კარგი სარდალიც აღმოჩნდა და იმისმა რაზმებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ეპისკოპოსების ვერჩელისა და ნავარის ჯარები. მაგრამ მებატონეებმა გლეხის ფსიხოლოგიით კარგად ისარგებლეს და დოლჩინო გლეხებისავე დახმარებით დაამარცხეს: როცა დოლჩინომ მონასტრებისა და ციხე-დარბაზების დანგრევას მიჰყო ხელი, სამღვდელოებამ და ფეოდალებმა გლეხებს ზოგი რამე დაუთმეს და გლეხებმაც თავის ბელადს თავი მიანებეს. 1307 წელს დოლჩინოს მცირე რაზმები ალპიის მთებში შერეკეს და იქ ამოსწყვიტეს.

მე-XIV საუკუნოებში იტალიაში ბატონ-ყმობას ძირი გამოეთხარა. ქალაქების ვაჭრები და მრეწველები წინ აღუდგნენ ფეოდალებს და მედგარი ბრძოლა გამოუცხადეს. მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ბატონ-ყმობა ვაჭრობას და მრეწველობას ხელს უშლიდა, ქალაქელ მრეწველებს კი მხოლოდ ბაზრის მოპოვება და მუშა-ხელის შევსება უნდოდათ. კატალონიაში და არაგონიაში ბატონ-ყმობა მეფემ მოსპო და ამით სამღვდელოებასა და თავად-აზნაურობასთან საბრძოლველად საჭირო მასალა—მესამე ელემენტი—იშოვნა. იქ, სადაც მთავრობა გლეხობას ივიწყებდა, გლეხები თვითონვე აგონებდნენ მას თავის არსებობას; მაგრამ მათს გაფრთხილებასა და ყვირილს იმ დრომდის არ აქცევდნენ ყურადღებას, სანამ გლეხები ცეცხლითა და მახვილით არ დასწვრდნენ ხოლმე თავიანთ საჭიროებასა და მოთხოვნილებებს.

1324 წელს ფლანდრიაში ზანეკინისა და სიგერიას მეთაურობით გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ამ დროს ფლანდრიაში უკვე მოსპობილი იყო ბატონ-ყმობა. გლეხობა მიწას იჯარით იღებდა და ამით ცხოვრობდა. გლეხებში საკმაოდ იყო გავრცელებული კლასობრივი თვითშეგნება, რამაც, რასაკვირველია, მშრომელთა და მემამულე ბარონებს შორის განხეთქილება გამოიწვია. ბარონებს მიწის ახალი საიჯარო წესები არ მოსწონდათ და მის დარღვევას ცდილობდნენ. გლეხთა აჯანყება პირველ ხანებში კარგად წავიდა, გლეხობას ზოგიერთ დიდ ქალაქის მუშა ხალხიც მიემხრო, მაგრამ მოძრაობა მაინც მხოლოდ მემამულეთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ფლანდრიის გრაფმა გლეხებთან ვერაფერი გაარიგა, ტყვედაც ჩაუვარდა და საფრანგეთის მეფეს მოსთხოვა შველა. აჯანყება ისე გაძლიერდა, რომ საფრანგეთის მეფემ ჯერ ვერ გაბედა საქმეში ჩარევა, მაგრამ მერე აუარებელი ჯარი შეაგროვა და 1328 წელს კასსელთან აჯანყებულნი დაამარცხა. ერთი ბელადი—ზანეკინი—ბრძოლაში იქმნა მოკლული. მეორე—სიგერია—ტყვედ წაიყვანეს და თავი მოჰკვეთეს. აჯანყებულნი სასტიკად დასაჯეს.

ოცდა ათი წლის შემდეგ, ე. ი. 1358 წელს, საფრანგეთში განთქმულმა ჟაკერიამ იფეთქა. ამ აჯანყებამ მხოლოდ ერთი თვე გასტანა, მაგრამ ამ მოკლე ხანში მთელი საფრანგეთი ძირიან-ბოძიანად შეარყია. ცუდ დღეში იყო იმ დროს საფრანგეთი. სახელმწიფო ინგლისთან ხანგრძლივ ომით მოიღალა. ქვეყანა გაოხრებული და აკლებული იყო; ფრანგები და ინგლისელები საწყალ „ჟაკ“-ების ყულეფაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყანებს სთელავდნენ, სოფლებს დროს გასატარებლად და სეირის საყურებლად ცეცხლს უკიდებდნენ და ანადგურებდნენ. ბრძოლიდან დაბრუნებული რაინდები სულ ახალ-ახალ გადასახადს იგონებდნენ და განუწყვეტლივ ფულს თხოულობდნენ. ილაჯ-გაწყვეტილი გლეხები ტყეში იხიზნებოდნენ და მცენარეულობით იკვებავდნენ თავს. ბატონებს „ჟაკი“ ადამიანად არ მიაჩნდათ; „ჟაკებს“ მასხარად იგდებდნენ, ფეხქვეშ სთელავდნენ და ხუმრობით ამბობდნენ, „ხეპრე ჟაკს მაგარი ზურგი აქვს და ყველაფერს აიტანსო“. მაგრამ ჟაკს მოთმინების ფიალა აევსო და იმის ზურგმაც უარი განაცხადა გულკეთილობაზე. ჟაკი წელში გასწორდა, ცელსა და კეტს მოჰკიდა ხელი და ბატონს შეუტია. მთავრობამ ვერაფერი უშველა თავად-აზნაურობას. მეფე ტყვედ იყო წაყვანილი ინგლისელებისაგან, მემკვიდრე კი მუდმივ ბრძოლაში იყო გართული პარიზის ვაჭართა მამასახლისთან, ეტიენ მარსელთან. იმ დროს მეფის სახელსაც დიდი საფრთხე მოელოდა, მაგრამ მას ისევ წოდებათა შუღლმა და შინაურმა ბრძოლამ უშველა. ბოვეს ოლქში ასი გლეხი შეიკრიბა და მემამულეთა ციხე-დარბაზებს ეცა. აჯანყებულთა რიცხვი საათობით მატულობდა. აჯანყებულები ციხე-დარბაზებს სწვავდნენ და ანგრევდნენ, თავად-აზნაურებს კი იჭერდნენ და ხოცავდნენ.

პირველი დარბევა მემამულეებისა 28 მაისს მოხდა. გლეხებს წინ გაუძღვა უკვე გამოცდილი მეომარი გლეხი ვილიამ კალი, რომელმაც უთავბოლო ბრბო შეჰკრა და დარაზმა. კალმა აფიცრებიც გაიჩინა. ქალაქები ჟაკერიას თანაუგრძნობდნენ, აჯანყების ცეცხლი პიკარდიისა და შამპანიისაც მოედო და პარიზსაც მიადგა კარებზე. გლეხები მებატონეების მამულებსა და სახლ-კარს იკლებდნენ, მაგრამ თვითონ მემამულეებს ისე აღარ ერჩოდნენ, როგორც წინად. იმდროინდელი ისტორიკოსები ათას სიმხეცეს აბრალებენ ჟაკერიას, მაგრამ ნახევარზე მეტი გადაჰარბებულია. გლეხებმა აუარებელი მემამულე დასტოვეს უსახლკაროდ, მაგრამ იმდენი ბატონი არ მოუკლავთ, როგორც ამბობენ.

ეტიენ მარსელმა ჟაკერიის გამოყენება მოინდომა და აჯანყებულებს დაუკავშირდა. მან თვითონვე ააჯანყა პარიზის მიდამოები. აჯანყებულებმა მრავალი ისეთი მებატონის სახლ-კარი გადასწვეს, რომელნიც მარსელს ხელს უშლიდნენ. მარსელმა კალის თანხმობით პარიზელებისაგან შედგენილი რაზმი მიაყენა მოს, სადაც მემკვიდრის მეუღლემ, დამ და ქალმა შეაფარეს თავი. თვითონ კალი თავის რაზმით ბოვეზისკენ წავიდა. მარსელმა იერიში მიიტანა მის ციხეზე და ის იყო აიღო კიდეც, მაგრამ სწორე ამ დროს ბძოლის ველზე გაჩნდა ბრძოლიდა მომავალი ორი რაინდი, რომელთაც ძლიერ რაზმები ჰყავნდათ. მოულოდნელმა იერიშ პარიზელები არია. აჯანყებულნი გაიქცნენ დ ბრძოლის ველზე 7000-ზე მეტი მოკლულ დასტოვეს.

კალის რაზმსაც ასეთივე დღე დაადგა. ჟაკერიის წინააღმდეგ გამოილაშქრა ნავარიის მეფემ კარლოს ბოროტმა, რომელმაც ჯერ კალი მიიტყუა, მერე უბელადოდ დარჩენილ გლეხებს დაეცა თავს და დაამარცხა. აქამდის სოროებში დამალული მებატონეები გარედ გამოვიდნენ და ნამდვილი ნადირობა დაიწყეს დაღალულ და დამშეულ ჟაკებზე. თავად-აზნაურებმა გლეხებს ერთი-ათად გადაუხადეს: მართალსა და დამნაშავეს არჩობდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ და, რის დაწვაც კი შეიძლებოდა, ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ. მოღონიერებულმა შამპანიის თავად-აზნაურობამ რამდენიმე ათასი გლეხი ჩამოარჩო, ხოლო ცოცხლებს ისეთი ხარჯი დაადო, რომ შამპანიის გლეხობა დიდხანს იყო წელში მოხრილი და ნახევრად მშიერი.

1381 წელს, ინგლისშიაც იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. აჯანყების მთავარი მიზანი, როგორც სხვაგან, აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა იყო. აჯანყება ესექსში დაიწყო და ცოტა ხნის შემდეგ კენტშიაც გადავიდა. მიუძღოდა კენტელებს წინ გაუტ ტაილერი, რომელმაც ესექსლებიც მიიმხრო და ორი მხრიდან ლონდონს მიადგა. გზადაგზა აჯანყებულნი მოხელეთა და მემამულეთა სახლკარს იკლებდნენ და ანადგურებდნენ. მეისტონში გლეხებმა საპყრობილე დაანგრიეს და გაანთავისუფლეს მღვდელი ჯონ ბოლი, რომელმაც გლეხთა აჯანყებაში შემდეგში დიდი მონაწილეობა მიიღო. აჯანყებულებს სამი ბელადი ჰყავდათ: მღვდელი ჯონ, სტრაუ და ტაილური. მეფე რიჩარდ მეორე ტოუერის ციხეში დაიმალა, მაგრამ მალე გლეხების დეპუტატები ეწვივნენ და უთხრეს, რომ გლეხებს თქვენთან მოლაპარაკება უნდათო. მეფე ნავში ჩაჯდა, ნაპირას მიადგა, მაგრამ ნაპირზე კი არ გადასულა და იქიდან ჰკითხა აჯანყებულებს, რა გინდათ და რას თხოულობთო. გლეხებმა მეფეს მისი მთავარი მრჩევლები მოსთხოვეს. მეფემ უპასუხა, პასუხისთვის ვინძორის სასახლეში მოდითო და უკანვე გაბრუნდა. გაბრაზებული გლეხები ლონდონს ეცნენ და განაპირა უბნები აიღეს. ღამე დარაჯებმა აჯანყებულნი ქალაქში შეუშვეს. აჯანყებულნი მთელ ქალაქს მოედვნენ და იქაურობა ააოხრეს: ლანკასტერის გერცოგის სახლი საძირკვლიანად ამოსთხარ-

---

*) „რუსკ. ვედ.“ № 237 და 245

არჩევნები ესპანიის სენატში. ამ დღეებში ესპანიაში დასრულდა დეპუტატების არჩევნები სენატში. არჩეულ იქმნა 109 ლიბერალი, 52 კონსერვატორი, 4 დამოუკიდებელი, 2 კარლისტი, 2 რესპუბლიკანელი და 2 კატალონიის „რეგიონალისტი“ (ოლქობრივ თვითმმართველობის მომხრე). ამ რიგად გამარჯვება ისევ ლიბერალებს დარჩათ.

ნორვეგიაში. ლაპარაკი და პოლემიკა ახალ ახალ სახელმწიფო წესწყობილების დამყარების შესახებ თან და თან მწვავდება. მთელი ნორვეგია ამ საკითხში, ორ ბანაკად გაიყო: სოციალისტები და რადიკალები რესპუბლიკას თხოულობენ, დანარჩენები კონსტიტუციონურ მონარქიას. მონარქისტების ბანაკში ბევრი პრინციპიალურად რესპუბლიკას, ემხრობა, მაგრამ „ჯერჯერობით“ მაინც მონარქიას თხოულობენ, რადგან ეშინიანთ, ვაი თუ რესპუბლიკის დაარსებამ ზოგიერთ სახელმწიფოსთან უთანხმოება გამოიწვიოსო. ასეთი აზრისაა, სხვათა შორის, განთქმული მწერალი ბიორნსონი.

სოციალისტების დემონსტრაცია ბუდაპეშტში 12 სექტემბერს, კოშუტელთა კლუბის წინ რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. ხალხმა ჯერ კოშუტის ჰიმნი სიმღერა, მერე პატრიოტული სიტყვები დაიწყო. აივნიდან ხალხს კოშუტმა, აპონამ და ვაზონტაიმ გასცეს პასუხი. ამ დროს საიდგანღაც 300 სოციალისტი გამოჩნდა. სოციალისტებმა ვაზონტაის ლაპარაკს ხელი შეუშალეს ყვირილით და საყოველთაო საარჩევნო უფლება მოითხოვეს: სოციალისტებს მოჰყვა მწყობრად დარაზმული 1000 სტუდენტი, რომელნიც სოციალისტებს მიემხრნენ. კოშუტელები გარშემოეხვივნენ ერთ მუჭა სოციალისტებსა და სტუდენტებს ჯერ ყოველ მხრიდან მიაწვნენ და მერე მუშტებითაც დაერივნენ. გასაშველებლად პოლიცია მოვიდა დაშავებული და ნაცემი ბევრია. პოლიციელებსაც მოხვედრიათ ცოტაოდენი.

რეფორმები რუსეთში

◆ კიშინოვის გუბერნიის გლეხებმა გუბერნატორს სთხოვეს, განკარგულება მოახდინეთ, რომ სახელმწიფო სათათბიროში **დეპუტატის არჩევას ადმინისტრაცია არ დაესწროს,** თორემ ძალას დაგვატანს და იმ კაცს ამოგვარჩევინებს, ვინც ადმინისტრაციას უნდაო. გუბერნატორმა გლეხებს პასუხი არ გასცა (ს. ო.).

◆ მოსკოვში მომხდარ საერობო და საქალაქო მოღვაწეთა **კრების მიერ შემუშავებულ პროგრამას ჟურნალ-გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ.** ,,რუს''-ის აზრით ახლად შემდგარი პარტია ,,ზომიერი პროგრესიული პარტიაა''. თუმცა პარტიას დაწვრილებით არ შეუმუშავებია თავისი პროგრამა, მაგრამ ახლავე ცხადია, რომ ,,მომავალ არჩევნების დროს საერობო პარტია და მისნი თანამგრძნობნი ჭეშმარიტ პარლამენტარიზმისა და პიროვნებისა და მოქალაქის უფლებისთვის იბრძოლებენ''.

,,ბირჟ. ვედ.''-ის აზრით ,,საერობო პროგრამის პოლიტიკურ ნაწილს რუსეთის ყველა პროგრესიული პარტია მოაწერს ხელს. შეიძლება შემდეგში ეკონომიურ საკითხში გზა დაიხლართოს, მაგრამ საერობო პარტიას სავსებით არც ეს საკითხი შეუმუშავებია. აგრეთვე შეიძლება პოლიტიკურ საკითხშიაც აღმოჩნდეს უთანხმოება; მაგალითად: პირდაპირი თუ ორკეცი არჩევანი, ერთ პალატიანი პარლამენტი თუ ორ პალატიანი და სხვ.—დანარჩენში ყველა მოწინავე პარტიები, უეჭველია, შეთანხმდებიან.

,,ნაშა ჟიზნ“-ი აღნიშნავს, რომ დღემდის რუსეთში, კანონით მხოლოდ მიმართულება არსებობდა, ეხლა კი პოლიტიკური პარტიაც შესდგა. ამ პარტიას თავის ორგანიზაციაც აქვს, პროგრამა საზოგადო, პროგრამა პრაქტიკული და პროგრამა ტაქტიკური და თავის ბელადებიც ჰყავს. მის ძალას ადგილობრივი ძალები შეადგენენ.

,,რაზსვეტ''-ში მართლ-მორწმუნე მარქსისტი სტროევი სწერს: ,,საერობო და საქალაქო პარტია ბურჟუაზული პარტიაა, მაგრამ, რადგან იგი წინააღმდეგია წოდებისა და მომხრეა კანონის წინაშე თანასწორობისა და მოქალაქის უფლებებისა, ამიტომ მას შეიძლება ლიბერალური ან პროგრესიული პარტიაც ეწოდოს. საერობო პარტიას ისეთივე ბურჟუაზულ თავისუფლების შემოღება უნდა რუსეთში, როგორც დასავლეთ ევროპაშია. საერობო პარტია დემოკრატიულია, რადგან ის ყოველ ღონეს ხმარობს გლეხთა შუა თანაგრძნობის მოსაპოებლად და მათზე დამყარებას. ამრიგად ამ პარტიას უნდა ეწოდოს „ლიბერალურ-ბურჟუაზული პარტია დემოკრატულ ელფერით“. რაც შეეხება საერობო პარტიის ეროვნულ პროგრამას, რომელიც, რუსეთის ყველა პროგრესიულ გაზეთის აზრით, სამართლიანი არის, „მოსკ. ვედ.“, „ნოვოე ვრემია“ და დანარჩენი ,,პატრიოტული'' გაზეთებიც მეტად გაბრაზებულნი არიან საერობო პარტიის პროგრამით და უფრო კი იმით, რომ ერობის პარტია განაპირა ქვეყნებისთვის და არარუსთათვის საჭიროდ სთვლის ავტონომიას და ეროვნულ თვითგამორკვევას.

დეპეშა

(დეპეშა საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი, 22 სექტემბერი. სამღვდელოების კრებამ დაადგინა, მოაწყოს-რიგოს და გადააკეთოს სასულიერო სასწავლებლები ისე, როგორც რეალური სასწავლებლებია, და შემოღებულ იქმნას 8 წლის კურსი; გადაწყვეტილია, საერო მეცნიერებათა სწავლებაც შემოიღონ.

გუშინ, საღამოს 7 საათზე, მოჰკლეს გადამწერალი რაჟდენ მეძმარიაშვილი. მოჰკლეს აგრეთვე ვალიკო წულუკიძე.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საგანგებო საზოგადო კრება მოხდება 25 ამ ენკენისთვეს ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიის სადგომში, დილის 10 საათზე, თუ გამოვიდა ნება-რთვა ბატონის ტფ. გენერალ-გუბერნატორისა. **განსახილველია:** 1, არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და წევრებისა; 2, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა ა, სათავად-აზნაურო გიმნაზიისათვის და ბ, გიმნაზიის ახალი შენობისათვის ვერაზე და 3, სათავად აზნაურო გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი.

◆ წელს ქ. ტფილისიდან **სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაჰყავთ** 253 კაცი, ხოლო ტფილისის მაზრიდან 288 კაცი.

◆ ორშაბათს 26 სექტემბერს, სახაზინო თეატრში პირველი ქართული **წარმოდგენაა დანიშნული.** წარმოადგენენ სუმბათაშვილის დრამას „ღალატს“ მუდმივ დასში ჩაირიცხნენ ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი ელ. ლეჟავა, მ. მღივანი, ა. ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე ბ-ნნი. ვ. აბაშიძე, ვ გუნია, შ. დადიანი, კ. მესხი, ი, ქიქიძე, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, და ჯაყელი.

◆ გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. ნ. ა. თუმანიშვილმა ბარათებითა და გაზეთებში განცხადებით **მოიწვია საგანგებო კრება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ** საკითხის განსახილველად. დანიშნულ დღეს კრებაზე მოვიდა მხოლოდ ერთი მემამულე და კრება, რასაკვირველია, გადაიდო. მემამულენი ამბობენ: რა დროს ერობაზე ლაპარაკია, ჯერ გლეხებთან შევვარიგდეთო.

◆ განჯის გუბერნიაში მყოფ ჯარების უფროსის **გენ. თაყაიშვილისაგან „კავკაზს“ შემდეგი დეპეშა მიუვიდა:** „ნოვ. ობოზ.“-ს ცნობა შუშაში და საზოგადოდ განჯის გუბერნიაში მომხდარ ამბების შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. შუშაში ფქვილი ყოველთვის საკმაოდ იყო. გამომცხვარ პურის ფასი გირვანქაზე 5 კაპ. არ ასცილებია. სანოვაგე ქალაქს საკმაოდ აქვს. ევლახსა და შუშას შუა გზებზე მშვიდობიანობაა. მგზავრებისა და ტრანსპორტის მიმოსვლა არ შეწყვეტილა. ყველგან კაზაკები დგანან და გზებს იცავენ. ის ცნობა, ვითომ მაჰმადიანების ექვსი სოფელი სომხების სოფლების განადგურებას აპირობდეს, ისეთივე ტენდენციური სიცრუეა, როგორც ცნობები ნუხაში არეულობის შესახებ. ვურჩევ რედაქციას, სანამ ამ ამაღელვებელსა და ცრუ ცნობებს დაბეჭდავდეს, თავის სპეციალურ კორესპონდენტებს შეეკითხოს და ჯერ სიმართლე გაიგოს“.

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკთან საჭირო თანხის გაღების შესახებ საბალოს სკოლაში **მეღვინეობის მოსაწყობად** და სარდაფის გასამართავად.

◆ ქალაქის მდივანმა ს. ფ. ჭრელაშვილმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომლითაც აცნობებს რომ მომავალ წელს დანიშნულია **ახალი არჩევნები,** რომლისთვისაც საჭიროა შესდგეს სიები და სხვა საბუთები, ქალაქის საბჭოს გადადგომის შემდეგ კი ეს საქმე ძლიერ გაძნელდა, ამისთვის საჭიროა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა გაინაწილეს ეს საქმეო. გამგეობამ დაამტკიცა ეს მოხსენება.

◆ ქალაქის საბჭოს ყოველ ხმოსანთა თხოვნები სამსახურიდან გადადგომის შესახებ **გუბერნატორმა უკან დაუბრუნა ქალაქის გამგეობას.**

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა წარუდგინა გუბერნატორს ტფილისის სამაზრო **საერობო კრების დადგენილება.**

◆ **ოფიციალური დეპეშა ერევნის გენერალ-გუბერნატორის პრინც ნაპოლეონისა:** „18 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, როდესაც 10 მაჰმადიანი ქალაქიდან სოფელში ბრუნდებოდა, ბაღების წინ მყოფმა რამდენიმე სომეხმა სროლა დაიწყო. მოკვდა ერთი და სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი თათარი. ამ ადგილას დაუყოვნებლივ გაჩნდა ბოქაული და დრაგუნთა რაზმი, რომელთაც ბაღში შეიპყრეს მსროლელნი, ხუთი სომეხი. ამათ აღმოაჩნდათ სამი სანადირო თოფი და ერთი ბერდანი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ახლად ნასროლი იყო. ეს ამბავი მალე მოედო ქალაქს და ააღელვა მაჰმადიანნი. როდესაც ქალაქში შემოიყვანეს შეპყრობილი სომხები, მათ გარშემო დიდძალმა სომხობამ და თათრობამ მოიყარა თავი. ასტყდა ხმაურობა. დრაგუნებს ებრძანათ ხალხის დაშლა. ხალხი ბაზარსა და ბულვარისკენ გაქანდა. ერთმა მაჰმადიანმა რევოლვერი გაისროლა, რასაც მოჰყვა საერთო სროლა ბულვარსა და ქუჩებში. მალე გაჩნდა ჯარი და $6^1/_2$ საათზე წესიერება აღადგინა. არეულობის დროს, მოკვდა 8 და დაიჭრა 3 მაჰმადიანი. სომეხი მოკვდა 2 და დაიჭრა 8. დაპატიმრებული იქმნა ოთხი სახლის პატრონი, რომელთა სახლებიდანაც ისროდნენ. დაპატიმრებული იქნა აგრეთვე რამდენიმე კაცი, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდათ. გამოძიება სწარმოებს. დღეს 16 სექტემბერს, ქალაქში გარეგნობით მშვიდობიანობაა, თუმცა ხალხი შეშფოთებულია“.

◆ ბაქოს ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, გუბერნატორის წინაშე, რომ **მთავრობამ ქალაქს 500,000 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს,** რადგანაც ქალაქს დიდი ზარალი მოუვიდა, ჯარების რიცხვს მოემატა და, თუ მთავრობა არ დაგვეხმარა, ჯარების შენახვას ვერ შევძლებთო. ქალაქის ვალი 1 ივლისამდე 1.296,577 მანეთამდე ასულა.

◆ 19 სექტემბერს, ბაქოში, სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე გლურჯიძისა, რომელსაც უბნის ზედამხედველის თავ. მიქელაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. გლურჯიძემ სასამართლოში განაცხადა, ჩემი სახელი და გვარი გიორგი ჯორჯია არისო. სამხედრო სამსახურიდან გამოქცეული ჯარისკაცი ვარ და გვარი იმიტომ შევიცვალეო. **სასამართლომ ჯორჯიას ჩამორჩობა გადაუწყვიტა.**

◆ **ნოე თევზაძეს და ესტატე ნიკოლაიშვილს,** რომელთაც ალიხანოვის მოკვლის გამო ტფილისის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, კავკასიის ნამესტნიკმა სიკვდილით დასჯა კატორგაში გაგზავნით შეუცვალა, თევზაძეს—20 წლით, ხოლო ნიკოლაიშვილს—15 წლით.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა **კერძო კრება მოახდინა და გადასწყვიტა,** სამსახურს არ დაუბრუნდნენ, თუ კრებებს სრულ თავისუფლებას არ მიანიჭებენ და გაზეთებში არ გამოაცხადებენ, რომ ტფილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი გენ. იაცკევიჩი ამ თანამდებობიდან დათხოვნილ იქმნა, 29 აგვისტოს მომხდარ ამბების გამო („ნოვ. ობოზ.“).

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ „ნოვოე ობოზრენიე“ გადადის ტფილისის ქალაქის მოურავად ნამყოფ, **ქ. ა. ვერმიშევის ხელში.**

◆ ზემო-ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დირექტორი **ი. მალალაშვილი** [illegible] მესამე დღეა-უგზო უკვლოდ დაკარგულა.

◆ 20 სექტემბერს, ღამე, ს. ხოვლეში, მახლობელ მთის წვერიდან, როგორც გვატყობინებენ, ვიღაც ბოროტ-განზრახველთ **თოფები დაუშენიათ თავ. დავით ჯავახიშვილის სახლისთვის.** აქ მდგომ ჯარის კაცთაც უსროლიათ მთის წვერისკენ, სროლა კაი ხანს გაგრძელდა. ჯერ გამორკვეული არ არის, მოკვდა ვინმე, თუ არა (ც. ფ.).

◆ საქართველოს ექსარხოსმა შეაყენა ბეჭდვა პირველ **განახლებულ „სასულიერო მოამბის“ ნომრისა.** ამ ნომერში რამდენიმე საგულისხმიერო წერილები უნდა დაბეჭდილიყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ.

◆ **დუხაბორებმა შუამდგომლობა აღძრეს** ნამესტნიკის წინაშე ყოველ-თვიურ ჟურნალის გამოცემის შესახებ. ჟურნალს სახელად „Духовный христіанинъ“ ერქმევა.

◆ გაზეთი „რუს“-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მზადდება **პროექტი კავკასიის კაზაკებით დასახლების შესახებ.** განზრახვაა, ადგილობრივი მცხოვრებნი და კაზაკები ერთმანეთში აურიონ. **საგლეხო ბანკის დახმარებით კაზაკებს სახელმწიფო ადგილები მიეცემათ**

◆ წევრებმა სხვა და სხვა კომისიებისამ, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს შეადგინა ექსარხოსმა, წერილობით წევრობაზე უარი განუცხადეს.

◆ კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა ყუბანის ოლქის, ბატალპაშინის ნაწილის **მთიულთა დეპუტაცია** და თავის საჭიროებათა შესახებ მოხსენება წარუდგინა.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისის **ქალაქისა და სამაზრო საკრებულოები** ახალ ჯარისკაცთა მოწვევის შესახებ მოქმედებას 15 ოქტომბრიდან შეუდგებიან. ხოლო თიანეთის მაზრაში—1 ოქტომბრიდან.

◆ ულუხანლუ-ჯულფის გზის, სად. ნორაშენზე სახალხო მატარებელ № 3-ში, რომელიც ბაქოდან ნახიჩევანში მოდიოდა, გასჩხრიკეს ერთი ვაგონი და აღმოაჩინეს 7 ბერდანის თოფი, 15 რევოლვერი, 28 თოფ-, 82 რევოლვერის პატრონა და აუარებელი ტყვიები.

◆ გუშინ, 22 სექტებს, კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა დეპუტაცია ქ. შუშიდან ეპისკოპოს ანანიას მეთაურობით და წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ, მიუხედავათ სომეხ-თათართა შეთანხმებისა, ორავე მხარე არღვევს ამ დადგენილებასა და ერთმანეთს **თავს ესხმისო.**

◆ **თანხმად პოლიცმეისტრის მოხსენებისა,** საგუბერნიო ადმინისტრაციამ პირველ საპოლიციო უბნის ბოქაულად დანიშნა მე-4-ე უბნის ბოქაული ბაჩურინი, მეოთხე უბნის ბოქაულად ბოიარინოვი, მეოთხე უბნის ბოქაულად—პირველ უბნის ბოქაული ფირუმოვი, მეექვსე უბნის ბოქაულად მე-5-ე უბნის ბოქაული გურგენიძე.

◆ ტფილისში **ჩამოვიდნენ ეპისკოპოსები კავკავისა გერმანე** და იმერეთისა **ლეონიდე.**

◆ ცენტრალურ სამკურნალოში ექიმად გ. ა. მირზოევი დაინიშნა.

◆ სამშაბათს, 20 სექტემბერს, ავლაბარში ა. გ. ვერმიშევმა დასწვა თავისი სიდედრი ს. ზოგოსოვა.

და, რაც ძვირფასი ნივთები იგდეს ხელში, სულ მტვრად აქციეს. მეფე იძულებული გახდა ცოუერის ციხიდან გაქცეულიყო მაილ-ენდის ციხეში, რომელიც ლონდონის მახლობლად იყო. გამოვიდა თუ არა მეფე ცოუერის სასახლიდან, აჯანყებულები შეცვივდნენ სასახლეში და დახოცეს არქიეპისკოპოსი კენცერბერიისა, მეფის ხაზინადარი და რამდენიმე მეფის მრჩეველი, რომელნიც, ხალხის აზრით, უსამართლობისა და ძალმომრეობის მიზეზები იყვნენ.

ამავე დროს მაილ-ენდში გლეხებმა მეფეს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: ყმების განთავისუფლება, აჯანყებულთა და პოლიტიკურ დამნაშავეთა გამოშვება საპყრობილეებიდან, ვაჭრობის თავისუფლება, საიჯარო ფასის დაწესება მიწაზე—ეს ფასი ერთ აკრზე 4 პენსს არ უნდა აღმატებოდა,—და ცუდ მრჩეველთა განდევნა. მეფე ყველაფერზე დასთანხმდა და ესექსელებიც დაიშალნენ. მაგრამ კენტელებმა განაცხადეს, ერთხელ კიდევ გვინდა მეფის ნახვა, რადგან სხვა მოთხოვნილებებიც გვაქვს წარსადგენიო. მეორე დღეს, მეფემ მიიღო ტაილორი, რომელმაც ნადირობისა და თევზის ჭერის სრული თავისუფლება და ტყისა და წყლის განსაზოგადოებრიობა მოითხოვა. მაგრამ ტაილორმა თავის სიტყვა ვეღარ დაამთავრა: მეფის ამალიდან ლონდონის მერი გამოვარდა და ტაილორი ხანჯლის ერთი დაკვრით მოჰკლა. გლეხებმა შვილდისრები მოიმზადეს, მაგრამ მეფემ დაამშვიდა ისინი. საღამოზე მეფემ ბრძანება გამოსცა, ყველა, ვინც ლონდონელი არ არის, ლონდონიდან გავიდეს, ხოლო ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სიკვდილით დაისჯებაო. უბელადოთ დარჩენილი გლეხები დაიშალნენ. რეპრესია მეორე დღესვე დაიწყო. ბელადები დახოცეს, პარლამენტმა გააუქმა მეფის-მიერ ნაბოძები უფლებანი, რომელნიც გლეხებს მეტად ძვირად დაუჯდათ.

იმ დროს, როცა ესექსელები და კენტელები ლონდონში ბატონობდნენ, მთელ ინგლისს აჯანყების ცეცხლი ეკიდა. გლეხები მოხელეებსა და მმართველებს ხოცავდნენ, საბუთის ქაღალდებს სწვავდნენ და აცხადებდნენ, ჩვენ მეფის სურვილს ვასრულებთო, მეფეს ხალხისთვის კეთილი უნდა და ქვეყნად სამართლიანობის დამყარება გლეხებს მიანდოო; ჩვენ არც ქურდები ვართ და არც ავაზაკები, ჩვენ მხოლოდ კეთილი გვინდა და სხვისას ხელს არ ვახლებთო, და სხ. რაკი აჯანყებულნი ლონდონში დაამარცხეს, აღარც სოფელში გასჭირდა აჯანყებულთა „დამშვიდება“. ინგლისის მთავრობამ არაჩვეულებრივი, მხეცური სისასტიკე გამოიჩინა და აჯანყებას მალე მოუღო ბოლო. ხალხმა განახლებულ ბატონყმობის მოსპობა სცადა, მაგრამ სურვილი ვერ განიხორციელა. ეს ცდა მას 7000 კაცად დაუჯდა. ფეოდალურმა რეაქციამ დროებით გაიმარჯვა, მაგრამ ის, რაც აჯანყებამ ვერ დაანგრია, შემდეგში ეკონომიურმა ფაქტორებმა გაანადგურეს.

გერმანიაში გლეხთა პირველი აჯანყება 1391 წელს მოხდა. აჯანყება გოტას მიდამოებში დაიწყო, მაგრამ მალე ჩაქრა. სერიოზული აჯანყება დაიწყო მე-XV საუკუნის მეორე წლებში. ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ გუსელების მოძრაობასა და ომებს მხოლოდ სარწმუნოებრივი საფუძველი არ ედო. ეს მოძრაობა ნახევრად სოციალური იყო და იმ დროის გლეხთა აჯანყებასაც დიდი კავშირი ჰქონდა გუსელების მოძრაობასთან.

მე XV საუკუნის დასაწყისში ბოგემიაში ბატონ-ყმობა ხელმეორედ აღორძინდა და გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა თანდათან დაქვეითდა. ბატონყმობის აღორძინება დასრულდა 1524—1525 წლების გლეხთა დიდ ომით. მაგრამ ეს ომი მხოლოდ დასასრული იყო გლეხთა მრავალ და წვრილ აჯანყებებისა.

მე-XV საუკუნის დამლევსა და მე-XVI საუკუნის დასაწყისს მრავილი პატარ-პატარა აჯანყება მოხდა. ეს აჯანყება საკმაოდ გადიდდა 1513—1514 წლებში. შვეიცარიის ერთ ნაწილსა და ვიურტემბერგში გაცხარებული აგიტაცია დაიწყო „საწყალმა კონრადმა“, რომელსაც პოლიტიკური პროგრამაც ჰქონდა და სოციალურ-ეკონომიურიც. გერმანიიდან აჯანყება ავსტრიასა და ჰუნგრეთშიაც გადავიდა და კარინთიასა და შტირიასაც მოედო. აჯანყება ორგანვე მალე მოსპეს ჩვეულებრივის სისასტიკით.

განუწყვეტელი აჯანყების სია დასრულდა საშინელის ომით. ბატონები წინდაწინვე იყვნენ მომზადებულნი ამ ომისთვის, მაგრამ იმას კი არ მოელოდნენ, რომ აჯანყება ასე მძლავრად იფეთქებდა. მთელი გერმანია სამ ნაწილად გაიყო. შვაბიისა და ტიროლის რაიონებმა მხოლოდ აგრარული პროგრამა წამოაყენეს. ფრანკონის რაიონმა ფართო პროგრამა შეიმუშავა, სადაც ეკონომიურ რეფორმებთან ერთად პოლიტიკურ რეფორმებსაც თხოულობდა; შუა გერმანიამ კომუნისტური მოთხოვნილებანი წამოაყენა. მოძრაობას უკიდურესი სარევოლუციო ელფერი არ ჰქონდა. გლეხები ყველაფერს სწვავდნენ, ანგრევდნენ და იკლებდნენ, მაგრამ ადამიანს იმდენათ არ ერჩოდნენ. ვეისენბერგის „საშინელი აღდგომა“ განსაკუთრებულ მოვლენას შეადგენს ამ მოძრაობის ისტორიაში. გლეხებმა სწორედ აღდგომა დღეს აიღეს ვეისენბერგი და საშინელის სისასტიკით დასაჯეს დამარცხებულნი. გლეხები ჩვეულებრივად ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, რეზოლუციებს ადგენდნენ, მებატონეებს დეპუტატებს უგზავნიდნენ და საზოგადოდ მშვიდობიან რევოლუციის მოხდენას აპირობდნენ, მაგრამ, რაკი მოლაპარაკებით ვერაფერი გაარიგეს, ძალა იხმარეს და მებატონეების აკლებას მიჰყვეს ხელი. მოკლე ხანში აუარებელი მონასტერი, რაინდების ციხე-დარბაზი, ხელოვნების ნაშთი და ლიტერატურა გადაიბუგა. გლეხობას შეუერთდა ბევრი ქალაქი,—ზოგი ნებაყოფლობით და ზოგიც ძალაუნებრად. მაგრამ ამანაც ვერაფერი უშველა გლეხებს, რადგან მათ საერთო სისტემა არ ჰქონდათ და უწესრიგოდ და არეულ-დარეულად მოქმედობდნენ. მათი ბელადები ძალიან კარგი აგიტატორები იყვნენ, მაგრამ სარდლებად კი არ ვარგოდნენ. აჯანყების მოთავენი—ფლორიან გეიერი, ჰანს მიულერი და თომა მიუნცერი საუცხოვო აგიტატორები და პროპაგანდისტები იყვნენ, მაგრამ, როცა საქმე ბრძოლაზე მიდგა, ვერაფერი გაარიგეს. მოწინააღმდეგეთ კი მშვენიერი სარდლები ჰყავდათ. გლეხებს წინ აღუდგა მარტინ ლიუტერიც, რომელსაც ეგონა, რომ გლეხთა მოძრაობა მის რეფორმაციას დაღუპავდა. 1525 წელს, გაზაფხულზე, გლეხთა რაზმები დამარცხდნენ. გამარჯვებულები შურისძიებას შეუდგნენ. ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ან ჰკლავდნენ, ან წყალში არჩობდნენ, ან აბრმავებდნენ და საშინლად აწამებდნენ. გამარჯვებულთა გულმოდგინეობამ იქამდის მიაღწია, რომ მერე თვითონვე გონს მოვიდნენ და დაფიქრდნენ: ჩვენ ასე მთელ გლეხობას ამოვჟლეტავთ და მაშინ ვინღა იმუშავებს ჩვენთვის, ვინღა გამოგვკვებავს და ვინღა გვემსახურებაო. გამარჯვებულებმა 100,000-მდე გლეხი აწამეს. ეს რიცხვი მჭერმეტყველურად ახასიათებს მებატონეთა საარაკო სისასტიკეს.

მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდის იმდენი აჯანყება მოხდა, რომ მათი ჩამოთვლაც დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ აჯანყებას: გლეხთა აჯანყებას საფრანგეთში 1789 წელს და, გერმანიაში 1848 წელს. ერთ დროს ისტორიაში ის აზრი მეფობდა, ვითომ 1789 წელს 4 აგვისტოს თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ იმიტომ აიღეს ხელი თავიანთ ფეოდალურ უფლებებზე, რომ იდეურ ენტუზიაზმით იყვნენ გატაცებულნი და თავისი თავი საერთო კეთილდღეობას შესწირესო. ნამდვილად კი 4 აგვისტოს თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ მხოლოდ სიტყვით დაამტკიცეს და აღნიშნა საქმის ის მდგომარეობა, რომელიც ერთი-ორი თვის წინად გლეხობამ შექმნა. ბასტილიის აღების შემდეგ, რევოლუციის ალი სოფელსაც მოედო. დაიწყო ჩვეულებრივი აკლება მებატონეებისა. გლეხები დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი მხოლოდ მეფის სურვილს ასრულებდნენ და ამ რიგად მებატონეთა დარბევას კანონიერ ძალას აძლევდნენ. მერე, როცა დამფუძნებელმა კრებამ მათი ნამუშავარი და შრომის ნაყოფი დაუკანონა, გლეხებიც დამშვიდდნენ.

მეორმოცდაათე წლებში გერმანიის ახალგაზდა პუბლიცისტი გეორგ ბიუხნერი ამტკიცებდა, რომ გლეხობა რევოლუციის ბურჯიაო „გაამძღეთ გლეხი,—სწერდა ბიუხნერი,—და რევოლუციასაც ბოლოს მოვუღებთო“. 1848 წელს ბიუხნერის წინასწარმეტყველება გამართლდა. მარტის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში აჯანყებამ იფეთქა და მოკლე ხანში გამარჯვების დროშაც ააფრიალა. გამარჯვება უფრო იმით აიხსნება, რომ დემოკრატიულ ბურჟუაზიის დროშის ქვეშ გლეხებიც იბრძოდნენ და მუშებიც. აქაც მოძრაობას ისეთივე ელფერი ჰქონდა, როგორც სხვაგან: გლეხები რეზოლუციებს ადგენდნენ, მებატონების სახლ-კარსა და საბუთის ქაღალდებს სწვავდნენ, თვითონ მებატონეებს კი ხელს არ ახლებდნენ. მებატონეებმა ხელათვე ასწონდასწონეს საქმის მდგომარეობა და გლეხებს ყველაფერში დაუთმეს. გლეხებიც, რასაკვირველია, დაშოშმინდნენ და ბრძოლაში მუშებს ჩამოშორდნენ. გლეხების ღალატს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციისთვის. მთავრობამ მალე მოუღო ბოლო რევოლუციას და რეაქცია გაამეფა.

გლეხთა მოძრაობის მსვლელობის აღნუსხვა ძნელი არ არის. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში გლეხთა მოძრაობა თითქმის ყველგან და ყოველთვის ერთნაირად იწყება და ერთნაირადვე მიდის: გლეხები მუშაობას თავს ანებებენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და მებატონეების კარს ადგებიან. საქმე ზოგჯერ ჭირნახულის წართმევით თავდება, ზოგჯერ—მებატონეთა სახლ-კარის აკლებით და ზოგჯერაც ბატონების დახოცვით. მებატონეთა აკლების დროს გლეხები გაფაციცებით ეძებენ და სწვავენ ყოველგვარ საბუთის ქაღალდებს. ზოგჯერ ბრაზმორეული გლეხები სწვავენ და ანადგურებენ ძვირფას ნივთებსა, სურათებს, ქანდაკებას და წიგნებს. ყველა ეს გლეხებს სძულთ და ეჯავრებათ, რადგან ხელოვნება და ლიტერატურა მათთვის მიუწდომელი ხილია. აჯანყებული გლეხები ყოველთვის დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი სამართლიანად და კანონიერად იქცევიან. თავს ან სამღვთო რჯულით იმართლებენ, ან მეფის ნებართვით. გლეხთა მოძრაობა უმეტეს შემთხვევაში საშიში ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მათ ქალაქებიც მიემხრნენ, რადგან ქალაქი ყოველთვის უფრო გამოცდილსა და დახელოვნებულ ბელადებს იძლევა. მთავარი მიზეზი გლეხთა დამარცხებისა ის იყო, რომ ისინი ვერ კავშირდებოდნენ და ერთ ძლიერსა და გაწვრთნილ რაზმს ვერ ადგენდნენ. ჯარი ყოველთვის სჯობნიდა აჯანყებულ გლეხობას. გლეხები მხოლოდ მაშინ იმარჯვებდნენ, როცა აჯანყება მთელ ქვეყანას ედებოდა: სოფელსაც და ქალაქსაც.

წინად ეგონათ, რომ გლეხთა მოძრაობას რაიმე განყენებული იდეა და უფრო ხშირად კი—სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ სარწმუნოება მხოლოდ თან ახლავს მთავარ მიზეზს; მთავარი მიზეზი კი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: გლეხთა გაჭირებული მდგომარეობა და ეკონომიური დაქვეითება. შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ მართლა გლეხთა აჯანყების მიზეზი ყოველთვის ეკონომიური გაჭირებაა, რატომ არაფერი ისმის გლეხთა აჯანყების შესახებ მე-9 საუკუნიდან მე-XIII საუკუნემდის? ამ ხანებში ხალხები დიდ გაჭირებაში იყვნენ, მაგრამ არაფერი მოუხდენიათო. ეს მოვლენა ადვილად აიხსნება იმ ისტორიულ კანონით, რომელიც პირველად ტოკვილმა აღნიშნა: ხალხი მაშინ კი არ ახდენს რევოლუციას, როცა მისი დაბეჩავება, დამონება და გაჭირება უკიდურესობამდის ადის, არამედ მაშინ, როცა ხალხი გაჭირვების [illegible] უკეთეს ცხოვრებას იგემებს, ან მაშინ, [illegible] უკეთეს ცხოვრებას შეჩვეული გაჭირებაში ვარდება. მესამე საუკუნიდან მეცხრე საუკუნემდის ბატონ-ყმობა აღორძინდა. მეთოთხმეტე [illegible]ნიდან ეს ბატონ-ყმობა ინგრევა. ამ ორ [illegible] შუა, ე. ი. მაშინ, როცა ფეოდალიზმი ყვაოდა, გლეხთა მოძრაობა თითქმის არსადა სჩანს, სხვა დროს კი გლეხთა აჯანყება თითქმის არასოდეს არ სწყდება,—ხან ერთსა და ხან მეორე ალაგას იფეთქებს ხოლმე.

ა.

◆ გუშინწინ, 21 აგვისტოს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ზავადსკი ნამესტნიკს წარუდგა და ვრცელი მოხსენება წარუდგინა სომხის სკოლების შესახებ.

◆ ტფილისის საქალაქო სამხედრო ბეგრის საკრებულომ საგუბერნიო საკრებულოს აცნობა, როგორ მოვიქცეთ 15 ოქტომბერს კენჭის-ყრის დროს, როდესაც ქალაქის საბჭოს ორი წევრი უნდა დაესწროს კანონით და ამჟამად კი საბჭო გადამდგარია.

◆ დუშეთის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა: სოფელ კანჩაეთში ვიღაც უცნობს თოფით ადგილობრივი მცხოვრები ივანე გაბითაშვილი მოუკლავს; სოფელ არაგვეთის მცხოვრებს უცაბედათ თავი მოუკლავს.

◆ რედაქციამ მიიღო **ჟურნალ „ჯეჯილის" მე-7 და მე-8 ნომერი,** შემდეგი შინაარსისა: თავისუფალი ცხოვრება—(ფერადი სურათი). ყაყაჩო—(ლექსი)—შიო მღვიმელისა. კოტე და ბურთი—(იგივე)—ალ. მირიანაშვილისა. ნიკორა ძროხა და რუხი კატუნა—(თარგმანი)—ტასოსი. სამი ძმა კაცი (არაკი)—ალ. მირიანაშვილისა. პატარა გურული—ლადო აღნიაშვილის რვეულიდან. ერთი უღელი ხარი (ზღაპარი)—მ. კინწურაშვილისა. ზანტი ჰასანა (ფრანგულიდან)—ალ. სარაჯიშვილისა. ეკლიანი სათამაშო (რუსულიდან)—ქეთოსი და სხვა.

◆ 15 სექტემბერს, სოფელ ბულაჩაურში, თ-დ. ხიმშიაშვილის მებაღეს, ზაქარია ბუთხუზს, 3 ბოროტ-გამზრახველი დასცემია. ოთხი მანათი წაურთმევიათ რა გაქცეულან.

15 სექტემბერს, საღამოს რვა საათზე, ტფილისიდან სოფ. საგურამოში მიმავალ ნიკოლოზ ქუჩაიძეს და ივანე ტოლოქონიკოვს, სოფელ გურამიაანკართან, ვიღაც ბოროტ-გამზრახველები დასცემიან და გაუძარცავთ.

◆ ქ. გორიდან იუწყებიან, რომ პეტრე სემენოვის სახლს რვა შეიარაღებული კაცი დასცემია და ბერდანის თოფი და რევოლვერი მოუტაცნია.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის" გუშინდელ ნომერში სამწუხაროდ ორი წერილის სტრიქონები ერთმანეთშია გადასხმული. მეორე გვერდზე ფილეტონის „მიხაკას ვარამი" პირველ სვეტის ბოლოდან პირველი სტრიქონი **„ასეთი აზრი სხვებისაგანაც გაგვიგონია. განა"** უნდა აიტანოთ იმავე სვეტის ასწვრივ წერილის—„სომეხ-მაჰმადიანთა ურთიერთობის"—პირველ სვეტის ბოლოში, ხოლო ფელეტონის მეორე სვეტის პირველი ორი სტრიქონი **„მარტო ჩვენა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ—„პანისლამიზმის" დასახელება მხოლოდ ნამდვილი"** მეორე სვეტის ასწვრივ, თავში.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი" № 241)

გაიცნო რა სახალხო განათლების საქმის მდგომარეობა კავკასიაში ნამესტნიკმა, საჭიროდ სცნო ადგილობრივ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში შეიტანოს ზოგიერთი ცვლილებანი, რომელიც შეეფერება მცხოვრებთა მოთხოვნილებასა და რომელსაც საქმის სარგებლობა მოითხოვს.

კავკასიის მთავარი გამგეობის განკარგულებით, სამოსწავლო გეგმის შესადგენად, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაარსა საგანგებო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა მასწავლებლებიც. ამ კომისიის მიერ შემუშავებული სამოსწავლო გეგმა განსახილველად ნამესტნიკის საბჭოს გარდაეცა.

გენერალ-ადიუტანტმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა განიხილა ხსენებული გეგმა და შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: „ეს გეგმა მიღებულ იქმნას მხედველობაში, როდესაც კავკასიაში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის პირველ დაწყებითი სკოლების ახალ სამოსწავლო გეგმას შეიმუშავებენ. ხოლო დროებით, მდგომარე სამოსწავლო წლის განმავლობაში, იხელმძღვანელონ 1881 წლის, 13 იანვარს კავკასიის ნამესტნიკის მიერ მოწონებულ გეგმით, რომელიც დღემდის ჯერ კიდევ გაუქმებული არაა, და რომელიც საჭიროდ სცნობს მოსწავლეთა დედა ენაზე სწავლებას, სახელმწიფო ენასთან ერთად".

ეს რეზოლუცია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ეცნობა.

1881 წელს, კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან მოწონებული სამოსწავლო გეგმა:

პირველ განყოფილებაში.

სწავლება დედა-ენაზე იმ გაკვეთილებისა, რომლებიც ბავშვისათვის გასაგებ საგნებს შეეხება, და შესწავლა დედა-ენაზედვე პირველდაწყებით წიგნაკში მოთავსებულ მასალისა.

სამშობლო ენის ასოების წერა. უბრალო ფიგურების ხატვა.

ანგარიში ასამდე ჩხირების და კოჭების საშუალებით.

ამგვარი სწავლება დედა-ენაზე უნდა გაგრძელდეს ერთ თვეს, ხილულ საგანთა და სურათების საშუალებით. ერთი თვის შემდეგ უნდა დააწყობინონ კითხვა დედა-ენაზე. ამასთანავე უნდა ასწავლონ დაწერა იმ საგნების სახელებისა, რომლებიც ბავშვებმა ზეპირ-გაკვეთილებზე გაიცნეს. ზეპირ-ანგარიშის გარდა, ბავშვებმა უნდა შეისწავლონ წერვით ამოცანების გაკეთება 1—20-მდე. წერა-კითხვა ბავშვებმა უნდა ისწავლონ პირველ-დაწყებითი წიგნაკის საშუალებით და უნდა შეეჩვივნენ შეგნებულ კითხვას დედა ენაზე, რასაც 4—5 თვე დასჭირდება. საზოგადოდ წლის ბოლოსთვის ბავშვებმა უნდა იცოდნენ კარგად კითხვა, წანაკითხის გამო კითხვებზე პასუხის მიცემა და წანაკითხის ახსნა.

სამღვთო სჯული ბავშვებს პირველ წელს დედა-ენაზე უნდა ასწავლონ, სურათების დახმარებით.

როდესაც ბავშვები კარგად შეეჩვევიან სამშობლო ენაზე წერა-კითხვას, ე. ი. დაახლოვებით პირველი წლის მეორე ნახევარში, ბავშვებს უნდა დააწყებინონ ზეპირად შესწავლა რუსული ენისა. რუსული ენის შესასწავლად ყოველ დღე უნდა იმეცადინონ 1/2 ან 3/4 საათი წლის გასვლამდე და რუსულად შეასწავლონ იგივე მასალა, რაც ბავშვებმა დედა-ენაზე უკვე შეისწავლეს.

ამგვარად, მეორე განყოფილებაში გადასვლის დროს, მოწაფეებმა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა დედა-ენაზე, დედა-ენაზედვე და თან რუსულადაც ანგარიში 100-მდე და ამოცანების გაკეთება 1—20-მდე. უნდა შეეძლოთ აგრეთვე მოთხრობა სამღვთო-სჯულიდან უმთავრეს ისტორიებისა, სურათების დახმარებით და იცოდნენ რამდენიმე რუსული სიტყვა და წინადადება.

მეორე განყოფილებაში.

ბავშვებმა უნდა შეისწავლონ წერა-კითხვა და სამღვთო სჯული უფრო ვრცლად ვიდრე წინა წელს და ანგარიში 100-მდე სამშობლო ენაზე. ამასთანავე ბავშვებმა უნდა შეისწავლონ სამშობლო ლიტერატურიდან ბავშვების შესაფერი ნაწარმოები. უნდა შეეძლოთ ზეპირად ნასწავლის დაწერა და წანაკითხის მოთხრობა. რუსული ენიდან უნდა იცოდნენ წერა-კითხვა და ზეპირად თქმა პირველდაწყებით რუსულ სახელმძღვანელოში მოთავსებულ მოთხრობებისა, არითმეტიკიდან უნდა შეისწავლონ ადვილი ამოცანები რუსულადაც.

ამგვარად, მესამე განყოფილებაში გადასვლის დროს, ბავშვმა უნდა იცოდეს: 1) თავისუფლად წერა-კითხვა და წანაკითხის თავისუფლად მოთხრობა სამშობლო ენაზე, 2) თავისუფლადა და ვრცლად მოთხრობა სამღვთო ისტორიებისა, 3) შეგნებულად გაკეთება ამოცანებისა 100-მდე რუსულადაც ამათი ახსნა, თუ შეიძლება. 4) თავისუფლად წერა-კითხვის რუსულად და რუსულ მოთხრობების სამშობლო ენაზე გადმოთარგმნა.

მესამე განყოფილებაში.

კითხვა და წერვა რუსულად გაკრულის ხელით ერთ ხაზზე და რუსული მოთხრობების დაწერვა და ზეპირად თქმა. სამშობლო ენაზე წერით გადმოთარგმნა. სამშობლო ენაზე დაბეჭდილ გარეშე წიგნების კითხვა და აგრეთვე შესაფერ რუსულ წიგნების კითხვაც.

უმთავრესს ლოცვათა ახსნა დედა-ენაზე (მართლმადიდებელთა სკოლებში) და მათი ზეპირად შესწავლა და წირვის წესის (литургія) ქართულად ახსნა.

სხვადასხვა ამოცანების გაკეთება უბრალო და სახელდებულ რიცხვებზე, შეგნება ნაწევრებისა (дроби).

სწავლის დამთავრების დროს ბავშვებმა უნდა იცოდნენ: 1) თავისუფალი წერა-კითხვა მშობლიურსა და რუსულს ენაზე, საბავშვო მოთხრობათა რუსულიდან სამშობლო ენაზე და სამშობლო ენიდან რუსულად გადათარგმნა, შესწავლილ მოთხრობების დაწერვა რუსულსა და სამშობლო ენაზე. 2) უნდა იცოდნენ ზეპირად ლოცვები, უნდა ესმოდეთ წირვის წესის მნიშვნელობა, იცოდნენ კატეხიზმოს უმთავრესი მცნებანი და შეეძლოთ მათი განმარტება სამშობლო ენაზე. 3) უნდა იცოდნენ ახსნა და განმარტება ამოცანებისა რუსულსა და სამშობლო ენაზე და, არითმეტიკის ოთხი მოქმედება და ნაწევრები.

ქუთაისის ცხოვრება

ქუთათურმა მღვდლებმა, რომელნიც, 24 აგვისტოს, სხვა მასწავლებლებთან ერთად, მოწვეულნი იყვნენ ქალაქის საბჭოს დარბაზში სკოლებისთვის საგანგებო კომისიის მიერ შედგენილ პროგრამის განსახილველად და რომელთაც,—როგორც თვითონ აცხადებენ, თავის მოხსენებაში,—კრებაზე ზოგიერთ მოსაზრებათა გამო თავისი აზრი ვერ წარმოსთქვეს სახალხო სკოლებიდან სადვთო სჯულის განდევნის შესახებ,—მხოლოდ ახლა ამოიღეს ხმა და წერილობითი პროტესტი განუცხადეს კრების-მიერ მიღებულ რეზოლუციას. „სახალხო სკოლებიდან სადვთო სჯულის განდევნის გამართლება არაფრით არ შეიძლებაო", ამბობენ ისინი: „საღი პედაგოგიკის შეხედულებით, ყმაწვილის აღზრდა უნდა წარმოადგენდეს მის ყოველ სულიერ ბუნების ძალთა და ნიჭთა ჰარმონიულს განვითარებას; ამიტომ სკოლა უნდა აძლევდეს საჭირო საზრდოს, როგორც კაცის გონებას, ისე მის სულს, რადგან მისი (სკოლის) დანიშნულება მარტო სწავლება კი არაა, არამედ ნამდვილი აღზრდა. 24 აგვისტოს შემუშავებული პროგრამა კი მხოლოდ სხვადასხვა საჭირო ცნობებით გონების გასამდიდრებლადაა გაანგარიშები· ყმაწვილის ნების განვითარებასა და სულის აღზრდას კი პროგრამაში თითქმის სრულიად არა აქვს დათმობილი ადგილი... სადვთო სჯულის გონივრულად სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილის ხასიათის გაწვრთნა-განვითარებაში... ვერსად ვერ ვპოვებთ ჩვენ იმდენ შესანიშნავ მაგალითებს ადამიანისადმი თავგანწირულ სიყვარულისას, იმდენს რწმენის შეურყევლობასა და სიმტკიცეს, რომ მუდამ მზად იყო ეწამა სამართლისათვის, რამდენიც დაბადებაში და საქრისტიანო ეკლესიის პირველ საუკუნეთა ისტორიაშია.. სამღვთო სჯულის პროგრამიდან განდევნა პირდაპირ პედაგოგიური ცოდვაა. არც ერთს ევროპის განათლებულ სახელმწიფოში, რომელთაც ჩვენზე მეტი პედაგოგიური გამოცდილება აქვთ, ისეთის ოსტრაკიზმით არ განუდევნიათ სამღვთო სჯული, როგორც ჩვენში უპირებენ მას. მხოლოდ ერთად-ერთმა საფრანგეთმა გადასცნო ამ მხრით თავი, მაგრამ იქაც მხოლოდ სიტყვით განიდევნა სამღვთო სჯული, თორემ საქმით ისევ ასწავლიან მას იმავე სკოლებში, მხოლოდ სხვა, ახალ,—„მორალი"-ს სახელით... გაუგებრობად მიგვაჩნია ჩვენ იმის მტკიცება, ვითომ სამღვთო სჯულის სწავლებით ჩვენ განგებ ვზრდით ბავშვებს ცრუმორწმუნეებად. ვერც ერთი გულწრფელი, კეთილ-სინდისიერი კაცი ვერ უარჰყოფს იმას, რომ კაცს დაბადებიდანვე თან დაჰყოლილი აქვს ეგრე წოდებული სარწმუნოებრივი ნიჭი (религіозная способность), რომელსაც საყოველთაო ხასიათი აქვს და რომელიც, მაშასადამე, ბუნებრივიცაა. ამიტომ, ვინც საჭიროდ არ სთვლის სამღვთო სჯულის სკოლაში სწავლებას, იმას ან შეგნებულად უნდა დაახშოს ეს ბუნებრივი ნიჭი, ან სულ უყურადღებოდ დასტოვოს იგი. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაშია მოსალოდნელი ცრუმორწმუნეობის გავრცელება, რადგან, თუ რომ ბუნებრივ მოთხოვნილებას გონივრულად და შეგნებულად არ მიეცა გზა და მიმართულება, უსათუოდ დამახინჯებულ და შემცდარ გზას დაადგება... ზოგიერთებისაგან ნაჩვენები საშუალება—ვისაც სადვთო სჯულის სწავლა სურს, მან კერძოდ მიმართოს მღვდელსაო,—საქმეს არამც თუ ვერ უშველის, პირიქით კიდევ უფრო წაახდენს და სრულიად განაცალკევებს ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო სკოლას, რომელთა შეერთება ყველას გულით სურს(!?). ზოგიერთის, ვითომც ენამახვილი ვაჟბატონის განცხადება შესახებ იმისა, თითქოს სადვთო სჯულს სწავლა ბავშებს გონებას უჩლუნგებდეს, ამტყუნებს თვითონ ამ ვაჟბატონებს, რომელნიც თავის აზრის დასამტკიცებლად უთითებდნენ სასულიერო სემინარიებზე, საიდანაც, მათის აზრით, შეგნებული ათეისტები უნდა გამოდიოდნენ. თუ რომ სემინარიებიდან შეგნებული ათეისტები გამოდიან, ჩანს, სადვთო სჯულის სწავლა არამც თუ გონებას არ უჩლუნგებს მოწაფეებს, არამედ იმდენად ანვითარებს მათ, რომ შეუძლიან შეიგნონ ყოველი რთული ფილოსოფიური შეხედულება, თუნდაც ათეისტური... ხსენებულ პირთაგან ხაზის გასმა სადვთო წერილიდან ამოღებულ ტექსტებისა რომელნიც ვითომც ბავშვებს განსაკუთრებით უნდა აჩლუნგებდნენ, ვერ ამტკიცებს სამღვთო სჯულის მავნებლობას რადგან სამღვთო სჯულის სწავლა მარტო ტექსტების სწავლისაგან არ შესდგება როგორც, მაგალითად, გეომეტრიის სწავლა მარტო თეორემების გაზეპირებას არ შეიცავს. თუ რომ გეომეტრიის მასწავლებელი მოწაფეებს მარტო თეორემებს აზეპირებინებს, ის მართლაც ტვინს უჩლუნგებს ბავშვებს; მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომც გეომეტრია საზოგადოთ ტვინს აჩლუნგებდეს და საჭირო იყოს სკოლიდან მისი განძევება. კიდეც რომ ვსთქვათ, ამჟამად სამღვთო სჯული გონებას კი არ ანვითარებსო, არამედ უჩლუნგებს ადამიანს, ამაში თვითონ სამღვთო სჯული კი არ იქმნება დამნაშავე, არამედ ეხლანდელი მისი სწავლების მეთოდი. ამიტომ სამღვთო რჯული კი არ უნდა განვაძევოთ სკოლებიდან, არამედ უკეთ უნდა დავაყენოთ მისი სწავლების საქმე და მაშინ მოსცილდება მას ის მძიმე ბრალდება, რომელსაც ასე დაუმსახურებლად კისერზე ახვევენ".

◆ ქალაქის თვითმართველობა, ქუთაისში ჩამოსულ ჯარების გადამკიდე, მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი: ჯარები თხოულობენ ქალაქის გამგეობისაგან როგორც თავის სადგომ ბინებს, ისე ცხენებისათვის საჭირო თავლებს, პურის საცხობ ფურნეებს, შეშას, წყალს და სხ. თუ ქალაქის საბჭოს მიერ ნამესტნიკის წინაშე აღძრულმა შუამდგომლობამ არ გასჭრა და ხაზინამ არ იკისრა ხსენებული ხარჯები, ქალაქი ამ ხარჯებს ვერ გაუძლებს. როგორც გავიგეთ, ნავაგინის პოლკის 2 ბატალიონს მალე გაიყვანენ ქუთაისიდან და აღარც პლასტუნები ჩამოჰყავთ თურმე.

ისარა.

გაზ. „არშალუის" აზრი ეროვნებათა ურთიერთობის შესახებ

სისხლით მორწყულ და ცეცხლით მოფენილ შავბნელ დღეებში, როდესაც მთელი კავკასია საკლავად არის გადაქცეული, როდესაც ყოველ მხრივ სიკვდილის და განადგურების კვალი სჩანს, სომხის ერს უფლება ჰქონდა თავის მეზობელთაგან სამართლიანი მოქცევა ენახათ, მაგრამ ნამდვილად კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. რამოდენიმე თვის განმავლობაში სომხებს დაუკავებლად სდევნიდნენ, მათზე ათასნაირ სიმხეცეს ჩადიოდნენ, მაგრამ მათი ყველაზე უფრო დიდი და განვითარებული მეზობელი, ქართველი ერი, გულდამშვიდებულ მაყურებლად იყო გაჩერებული და მხოლოდ ხანდახან, თავის წარმომადგენელთა პირით, გაიძახოდა: ეს ეროვნული სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკება არის, რომელიც ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდესო... საკმარისია ჩავუკვირდეთ მომხდარ ამბებს, საკმარისია კავკასიის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენთვის ცხადი შეიქმნეს, თუ რამდენად ზერელედ ეხებიან საქმეს ქართველები.

მაგრამ დღეს საქმის სხვა მხარე გვაინტერესებს, უფრო საგულისხმო და დასაფიქრებელი. ამ უკანასკნელ ხანებში ქართული პრესსა სომეხ-მაჰმადიანთა საკითხს უკვე ეხება და უნდა მომრიგებელ მოსამართლეს როლი იკისროს. და აი, ერთიმეორეს მიყოლებით სომხებს ათასნაირ ბრალდებას ახვევენ თავზე. „ამ ამბების მიზეზი სომხის ბურჟუაზია არისო, რომელიც სხვებს ყვლეფავს. ამ შეტაკებაში სომხის ახალგაზრდობაა დამნაშავე, რომელიც „ყოველთვის" იცავს ბურჟუაზიულ და კლერიკალურ იდეებს და ეროვნულ ნაციონალისტობას და შოვინისტობასაო. ასე მსჯელობს ქართველ თავად-აზნაურობის და მის მისწრაფებათა დამცველი ორგანო „ივერია". ამასვე იმეორებს ქართველ ახალგაზრდა ლიბერალების ორგანო „ცნობის ფურცელი" და პროლეტარიატის დამცველი „მოგზაურიც". ამიტომ ცხადია, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ეს lapsus calami არ არის, არამედ არის საზოგადო მოვლენა და ჩვენი მეზობლის საერთო შეხედულება. ჩვენ მივემხრობოდით ამ აზრსა, იგი მართალი რომ ყოფილიყო, სინამდვილეზე და მიუდგომლობაზე დამყარებული, რომ იგი კეთილის სურვილით ყოფილიყო გამოწვეული. მაჰმადიანები თუ მკვლელობას იდენენ და ანადგურებენ რასმე, ამაში სომხის ბურჟუაზია დამნაშავე არ არის, რომელიც ერთსა და იმავე როლსა თამაშობს სომხებსა და ქართველებში, თათრებსა თუ სხვა რომელიმე ეროვნებაში. დამნაშავე არ არის არც სომხის ახალგაზრდობა და არც სამღვდელოება: სიავის ძირი უფრო ღრმადაა დამალული,—იგი უნდა მოიძებნოს პოლიტიკო-სოციალურ მიზეზებში,—რომელზედაც უთითებენ ყოველთვის არა მარტო სომხის პრესსა, არამედ რუსული გაზეთები პეტერბურგსა და მოსკოვში. ეს მიზეზები ალბად ქართველ პრესსასაც ეცოდინება, მაგრამ იგი მაინც სომხებს ამტყუნებს და ისე იქცევა, რომ გაგვახსენებს ველიჩკოს შავბნელ დროს და მკითხველებს აფიქრებინებს, რომ მას გულახდილობა აკლია, რომ ეს არ არის ქართველების ცალმხრივი ეროვნული გრძნობა, რომელიც აქაც თავის მეზობელს,—სომეხს ამტყუნებს და უნდა ერთხელ კიდევ გაიმეოროს, ვითომც სომეხი ერი სხვების გამყვლეფი ეროვნება ყოფილიყოს, როგორც ქართველების ისე მაჰმადიანების გამყვლეფი. ნუ თუ ასეთ მოქცევას შეუძლიან შეუწყოს ხელი იმ სოლიდარობას, რომელზედაც ასეთ ლამაზ სიტყვებს ამბობენ ქართველ პრესსაში, რომელზედაც ასეთ იმედებს და ოცნებას ამყარებენ!—არა, არაოდეს! ეროვნებათა სოლიდარობის მთავარი პირობა არის გულახდილობა,—გვიჩვენონ ეს გულახდილობა, ცარიელ დაბრალების მაგიერად მიუდგომელ კრიტიკის ნიმუშები გვაჩვენონ და მაშინ ჩვენც ამოვუდგებით გვერდში და ვიტყვით,—ჩვენ ძმები ვართო. და ასეთი ძმობა ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ეროვნებებში, ასეთი სოლიდარობა უფრო სასურველია ჩვენ საერთო სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისათვის.

მართალია, სომეხს ამ ჟამად გული აქვს დაწყლულებული, მას სდევნიან, იგი დასჯილი არის ამ სისხლის ღვრაში, მაგრამ იგი მოახერხებს თავის დაუდგრომელის შრომით გამარჯვებული გამოვიდეს ამ სისხლისღვრისა და საერთო განადგურებისაგან და თავის მეზობელთა ჯგუფში როგორც მშვიდობიანად მშრომელმა და პროგრესიულმა ძალამ, — თავისი ადგილი დაიჭიროს.

ამ შავ-ბნელ დღეებში ვიქონიოთ სახეში ეს ძალა, ჩვენი ძმები — ქართველები ნუ დაივიწყებენ, რომ კავკასიაში ქართველები და სომხები უფრო კულტურული ელემენტები არიან, რომ ამიტომ სხვებზე ადრე მათ უნდა დაამკვიდრონ ერთმანეთში ეროვნებათა სოლიდარობა, — მათ უნდა გულახდილად გახსნან გზა ერთობისაკენ და საერთო მოქმედებისაკენ, თორემ ასეთი უსაფუძვლო დაბრალება შავ ლაქასავით წაეცხება სოლიდარობას...

ნუ მოვუმატებთ ამნაირ ლაქებს!

ე. თოფჩიან.

რუსეთი

◆ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი **ობოლენსკი სამსახურს თავს ანებებს.** იმის ალაგას, როგორც ამბობენ, სვიატოპოლკ-მირსკის ნიშნავენ (რ. ს.).

◆ მოსკოვის გუბერნატორს **კრისტის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ ნიშნავენ (რ.).**

◆ **ფინლანდიის სტატს-სეკრეტარად** ნიშნავენ კიევის სამხედრო ოლქის უფროსს კლეიგელსს; კლეიგელსის ალაგას—სენატორს ტრეპოვს (რ. ს.)

◆ კერჩის გრადონაჩალნიკი გენ. კლოკაჩევი **სამსახურს თავს ანებებს (რ.).**

◆ ოდესიდან ,,ხოვოსტი''-ს დეპეშით ატყობინებენ: **სტუდენტი ფელდმანი,** რომელიც მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის მატროსების აჯანყებაში და რომელიც ამას წინად სევასტოპოლის საპყრობილიდან გაიპარა, ამჟამად შვეიცარიაში იმყოფება.

ბეკკერის სახლი, რომელშიაც ამასწინად ყუმბარა იპოვეს, ხაზინას გადაეცა (რ. ს.)

◆ 14 სექტემბერს მოსკოვის კონსერვატორიის შენობაში **მოსწავლეთა კრება** მოხდა. კრებამ გადასწყვიტა, სწავლა განაახლონ, კონსერვატორიის მოსწავლეთა ორგანიზაციას შეუდგნენ და ს. ი. საფონოვს თავიანთი უკმაყოფილება გამოუცხადონ. ამის შემდეგ, ტანეევთან წარსადგენად, კონსერვატორიის მოსწავლეებმა შეიმუშავეს ადრესი, რომელიც შემდეგის სიტყვებით თავდება: „თქვენთან ერთად ჩვენც სიმართლის მხარეს დავიჭერთ და კონსერვატორიის აღორძინების საქმეს ხელს შევუწყობთ. ვიმედოვნებთ, რომ განახლებულ კონსერვატორიაში თვითნებობა, ძალმომრეობა და უპირატესობა კი არ იქმნება გამეფებული, არამედ თავისუფლება, კანონიერება და თანასწორობა. ჩვენ ღრმადათა ვართ დარწმუნებულნი, რომ ასეთი გაახლება მალე მოხდება, ღრმადათა ვართ დარწმუნებული იმაშიაც, რომ თქვენ დაუბრუნდებით იმ კონსერვატორიას, რომლის ბედ-იღბალშიაც, ნ. რუბინშტეინსა და პ. ი. ჩაიკოვსკისთან ერთად, იღებდით მონაწილეობას". (რ. ვ.).

◆ **დანაშაულის აღმოჩენა აკრძალულია.** 13 სექტემბერს ნიჟნი-ნოვგოროდში დაუტუსაღებიათ ნაფიცი ვექილი ნ. ა. ქემჩუგოვი და სამის წლით ვოლოგდის გუბერნიაში გზავნიან. ქემჩუგოვი სასამართლოს პასუხისგებაში არც ერთხელ არ მიუციათ და ეხლაც ეს სასჯელი ადმინისტრაციას მიუსაჯია, მხოლოდ იმიტომ, რომ ნ. ა. ქემჩუგოვი პოლიციელთა მოქმედებას დიდს ყურადღებას აქცევდა და ხშირად, უკანონო საქციელისთვის, პასუხისგებაშიაც აძლევდა ხოლმე (რ. ვ.).

◆ **შავი ქვის მრეწველთა განცხადება** დომბროვისა და დონის შავი ქვის მრეწველებს სამრეწველო წრეებში შემდეგი განცხადება შეუტანიათ: პოლიციური ზომებით წესიერების აღდგენა ყოვლად შეუძლებელია. ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც მუშების დამშვიდება შეუძლიან, ის არის, რომ მუშებიც უფლებით რუსეთის დანარჩენ მცხოვრებლებთან გათანასწორდნენ, უფლება მიეცეთ, სახელმწიფო სათათბიროში თავის საკუთარი წარმომადგენელი გაგზავნონ, უფლება უნდა მიენიჭოთ იმიტომ, რომ დიდს სამრეწველო ქალაქებში მუშათა კლასსი მოწყვეტილია გლეხკაცებისაგან, თავის საკუთარი ინტერესები, კლასსიური თვითშეგნება და მსოფლიო-მხედველობა აქვს. ეს საშუალება არეულობას მოსპობს და რევოლუციონურ აგიტაციასაც ბოლოს მოუღებსო (რ. ვ.).

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 სექტემბერი.

პეტერბურგი. ყველა საკითხი, რომელიც საერთოდ სახელმწიფოს ინტერესს შეეხება, მინისტრთა კომიტეტის მიერ განხილულ არ იქმნება, ვიდრე მინისტრთა კაბინეტი არ დაარსდება.

სახალხო განათლების მინისტრი, როგორც ამბობენ, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ სასწავლებელში მიღების დროს პოლონელებს და ებრაელებს არავითარი დაბრკოლება არ უნდა ეძლეოდეთ.

ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ნება-რთვა ითხოვოს, რომ პეტერბურგში თავისი გაზეთი დაარსოს საარჩევნო აგიტაციისათვის

„ნოვოე ვრემია"-ში ვრცელი წერილია ბაქოს ნავთ-მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ავტორი იმ აზრს ამტკიცებს, რომ ნავთის ამოწურვას ხაზინამ უნდა მოჰკიდოს ხელი იმ წვრილ მრეწველების შუამავლობაც რომ დასჭირდეს, რომელნიც ეხლა მონოპოლისტებისაგან განადგურებულნი არიან.

სტამბოლი, 20 სექტემბერი. სახელმწიფოთა ელჩები პორტას უარზე მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღების შესახებ უსათუოდ პასუხს გასცემენ.

პარიზი, 20 სექტემბერი. ცნობილი მოგზაური ბრაცცა დიდის ამბით დაასაფლავეს.

ლონდონი, 21 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი"-ს ტოკიოელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: იაპონიაში დარწმუნებულნი არიან რომ რუსეთ-გერმანიის დაახლოვებას უსათუოდ სამ სახელმწიფოს ფაქტიური კავშირი მოჰყვება. მესამე სახელმწიფო შეერთებული შტატებია. იაპონიაში ფიქრობენ, რომ რუსეთსა, გერმანიასა და შეერთებულ შტატებს შორეულ აღმოსავლეთში ერთი და იგივე მიზანი აქვთ.

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. რუსეთ-იაპონიის საზავო ხელ-შეკრულების რატიფიკაციის ფორმალურ მხარის განსახილველად როზენმა და ესაკახირამ დღეს სახელმწიფო დეპარტამენტში ერთმანეთი ინახულეს.

მოსკოვი, 21 სექტემბერი. მიასნიცკის ქუჩაზე, კონსისტორიის ბაღში აფეთქებულა, როგორც ფიქრობენ—ტომარა, რომელშიც ასაფეთქებელი მასალა ყოფილა შენახული. არავინ დაშავებულა.

ბერლინი, 21 სექტემბერი. ფესიდან მოსულ ოფიციალურ ცნობებით, სულთანს გერმანელ ბანკირებისთვის ათ მილიონ მარკა სესხზე ხელი მოუწერია.

ხარკოვი, 21 სექტემბერი. დღეს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებმა დაადგინეს: სწავლა განაახლონ, დათხოვნილი სტუდენტებისა და პროფესორების დაბრუნება მოითხოვონ, ინსპექცია მოსპონ და სტუდენტთა კლუბი დაიარსონ.

მოსკოვი, 22 სექტემბერი. რექტორის განკარგულებით, უნივერსიტეტი დაიკეტა.

კელნი, 22 სექტემბერი. „კელნიშე ცეიტუნგ"-ის სიტყვით, იაპონიას, ახალს სესხის გამო, ლონდონსა, ბერლინსა და პარიზში მოლაპარაკება აქვს. ამ სესხით იაპონიას უნდა შინაური ვალი მოიშოროს.

ლონდონი, 22 სექტემბერი. „სტანდარტ"-ის აზრით, ინგლისისა და რუსეთის უთანხმოება წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა. ამ ორ სახელმწიფოს შორის კავშირი ყოვლად შეუძლებელია რადგანაც მათ საერთო მტერი არა ჰყავთ. ავღანისტანისა და სპარსეთის მთლიანობის წინააღმდეგობაზე რუსეთმა ამის შემდეგ უარი უნდა განაცხადოსო.

პეტერბურგი, 22 სექტემბერი. მანჯურიის მეორე არმიის გენერალ-კვარტირმეისტერი გენერალ-მაიორი ფლუგი პრიმორსკი ოლქის გუბერნატორად და უსსურის კაზაკთა ატამანად დაინიშნა. უმაღლესის ბრძანებით, გენერალ-გუბერნატორი დეიტრიხი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

ლონდონი, 22 სექტემბერი. რადგანაც, კავკასიაში არეულებობისა გამო, ნავთის წარმოება დროებით შეჩერებულია, ბურმისა და აზიის კომპანიებმა გადასწყვიტეს, მდგომარეობით ისარგებლონ და ნავთის ფასი ასწიონ.

ლივორნო, 22 სექტემბერი. 7 ოქტომბერს აქ ინგლისის ესკადრას მოელიან. ესკადრის ერთი ნაწილი, პრინც ბატტენბერგის უფროსობით, მალე ამერიკისკენ გაემგზავრება.

მადრიდი, 22 სექტემბერს. ჰაგის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე ესპანიის მთავრობამ პრინციპიალურად თანხმობა განაცხადა.

სტამბოლი, 21 სექტემბერი. პორტას ოფიციალური ცნობა კომისიამ იპოვა ამხანაგი ვართანიანისა, რომელსაც უნჯიას მოკვლა ჰბრალდებოდა. ვართანიანის ამხანაგი, არფარიანს ამერიკიდან იმიტომ მოსულა, რომ ანარქიული მკვლელობები მოახდინოს. ვართანიანსა, არფერიანსა, და სხვებს ერთად გაასამართლებენ სმირნაში „კრედილიონეზ"-ის სააგენტოსთვის—რევოლუციონურ კომიტეტის წევრს შესანახად ბლომად ყუმბარები მიუბარებია, მაგრამ მალე აღმოუჩენიათ. სომხების სასაფლაოზე მიწაში ჩაფლული ორმოცი ყუმბარა აღმოუჩენიათ.

ტოკიო, 21 სექტემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ესკადრა 22 სექტემბერს კობეში მივა და ორი დღის შემდეგ იოკოჰამისკენ გაემგზავრება.

ვენა, 22 სექტემბერი. თუმცა ფეიერვერის იმპერატორისთვის საარჩევნო უფლების პროექტი შეცვლილი წარუდგენია, მაგრამ იმპერატორს მაინც ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.